

სოლომონ რაზმაძის ენა

XIX საუკუნის პირველი ნახევარი ქართული ენის ისტორიის ერთ-ერთი საყურადღებო მონაკვეთია. ეს არის თავისებური ენობრივი კრიზისის ხანა, რომელიც ანტონ კათალიკოსის მიერ სამი სტილის თეორიის დაკანონებას მოჰყვა. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „თავისთავად ანტონს უთუოდ ბატონოტული სულისკვეთება ამოძრავებდა: იგი ქართული ენის განწმენდასა და გაძლიერებას ესწრაფვოდა, მაგრამ XVIII საუკუნის საქართველოსათვის სამი სტილის თეორია უკვე ანაქრონიზში აღმოჩნდა და ხელოვნურობის, ძალდატანების აშკარა დალი ესეა“¹. ანტონ კათალიკოსის ენობრივი პოლიტიკის შედეგად გაწყდა ბუნებრივი ხაზი სამწერლო ენის განვითარებისა და სასაუბრო მეტყველება, რომელიც უკვე XI—XII საუკუნებიდან ასაზრდოებდა მას, ჩრდილში მოექცა. მისი გამოყენება კანცელარიის საჭიროებით, ნაკლებმნიშვნელოვანი ლიტერატურული ჟანრებითა და კერძო მიწერ-მწერით შემოიფარგლა, რამაც, ბუნებრივია, შეამცირა მისი გავლენა ლიტერატურულ პროცესზე. ფაქტიურად შეწყდა სალიტერატურო ენის განვითარების, მისი სრულყოფისა და დახვეწის პროცესი. შეიქმნა თავისებური ვაკუუმი. ყურადღება წარიმართა ძველი ქართულისაკენ. აღადგენდნენ და ამკვიდრებდნენ ისტორიულადღა არსებულ გრამატიკულ ფორმებს, სინტაქსურ ყალიბებსა და ლექსიკას. ამასთან, გასაქანი მიეცა ხელოვნურ ძიებებს ენობრივი შემოქმედების სფეროში.

სამი სტილის თეორიის ბატონობა ქართულ მწერლობაში რომანტიზმის განვითარებას დაემთხვა, რომლის სათავეებთან დგას თავისი დროისათვის საკმაოდ ცნობილი პიროვნება, 20—30-იანი წლების საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, პოეტი და მთარგმნელი სოლომონ რაზმაძე.

სოლომონ რაზმაძე იყო შველი ერეკლე II-ის მიერ ყაზარდოდან ჩამოყვანილი ივანე (გივი) რაზმაძისა, რომელსაც ვაჟაკობითა და მე-

¹ ბ. ჯობენაძე, ბალავარი მწერლობისა, თბ., 1987, გვ. 11.

ფის ურთველებით სასახლის კარის პატივისცემა დაუმსახურებია. მეფე ერეკლეს მისთვის აზნაურობა უბოძებია, მაგრამ საბუთი დაკარგულა, რაც ერთ-ერთი მიზეზი გამხდარა 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის სოლომონ რაზმაძის სასტიკი დასჯისა: იგი საქართველოდან სამუდამოდ გადასახლეს შუა რუსეთში, ქ. პენზაში, სადაც ბოვა კიდევ სამუდამო განსახეენებელი.

სოლომონ რაზმაძის ჩამოყალიბება მოხდა პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ ბატონიშვილთა წრეში. მან 12—13 წლის ასაკში 1810 წელს დედიითურთ დატოვა საქართველო და 1832 წლის თებერვალში ირანში რუსეთის საელჩოში მთარგმნელად სამუშაოდ გამგზავრებამდე პეტერბურგში ცხოვრობდა თეიმურაზ ბატონიშვილის ოჯახთან ერთად და იყო მისი მდივანი.

სოლომონ რაზმაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა სამეფო გვარეულობის წევრებთან და ბევრ მათგანთან მეგობრობა აკავშირებდა. განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონდა თეიმურაზ ბატონიშვილთან. მოღწეულია თეიმურაზისა და სოლომონის გაააქვრება ლექსად (იგი გამოქვეყნებული აქვს ნ. ალანას²), საიდანაც კარგად ჩანს ბატონიშვილის კეთილი, შეიძლება ითქვას, შეხუმრებული დამოკიდებულება პირად მდივანთან, რომელსაც იგი მატერიალურსა და მორალურ დახმარებას უწევდა წლების განმავლობაში.

სოლომონ რაზმაძე პეტერბურგში ცხოვრებისას ჩაება ფარული საზოგადოების საქმიანობაში. ყმისა და მამულის უქონელი ჭაბუკის თანავრძნობა შეთქმულებისადმი თავდაპირველად ლიტერატურული საქმიანობით გამოიხატა³, შემდგომში კი მას დაევა ირანში მცხოვრებ ალექსანდრე ბატონიშვილთან ურთიერთობის დამყარება. ეს უნდა გამხდარიყო ერთ-ერთი მიზეზი სპარსეთში სამუშაოდ მისთვის რეკომენდაციის გაწევისა⁴.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთში გადასახლებული ქართველი ინტელიგენცია ინტენსიურ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა. ამ საქმიანობაში ჩაება სოლომონ რაზმაძეც. თავდაპირველად იგი თარგმნით დაინტერესდა და 1824-სა და მომდევნო წლებში რუსული ენიდან გადმოიღო სასულიერო და ფილოსოფიური ხასიათის რამდენიმე თხზულება⁵. 1828 წელს რუსულიდან თარგმნა საკმაოდ ვრცელი შრომა „პირველნი საფუძველნი

2 ნ. ალანია, სოლომონ რაზმაძე, თბ., 1968, გვ. 16.

3 მ. გოცაძე, სოლომონ რაზმაძე: თსუ შრომები, XXV B, 1949, გვ. 122.

4 მ. გოცაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 130—133.

5 საქ. მეცნ. აკადემიის ე. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H: 1430, 2226; ფონდი A:1448.

საზოგადოებისა ისტორიისანი“ სამ წიგნად⁶, 1831 წელს კი გადმოიღო 1830 წლის საფრანგეთის რევოლუციური მოძრაობის თვალსაჩინო მონაწილის ოდილონ ბაროს მოწოდება: „წიგნი ფენელონისა ლუდოვიკ XIV-სთან მიწერილი და ერთი სიტყვა, რომელი ჰრქვა ოდილონ ბარო პარიჟისა ერსა ოქტომბრის 19-ს, 1830 წელს“⁷, რაც შეთქმულებაში მისი მონაწილეობის ერთ-ერთ სამხილად იქნა მიჩნეული, თუმცა თავად ცდილობდა დაერწმუნებინა გამოძიება, რომ თარგმანი შეასრულა ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე.

სოლომონ რაზმაძის საკმაოდ ფართო ლიტერატურული ინტერესების დამადასტურებელია მისი გატაცება რუსული პოეზიით, კერძოდ, ალ. პუშკინის შენოქმედებით. მას ნათარგმნი აქვს მისი „Пробуждение“ („განღვივება“), „Испанский роман“ („ლიშპანური სიმღერა“), „Веселый пир“ („ღვინი“), „Демон“, („დეონი“), „Пророк“ („წინასწარმეტყველი“), ნაწყვეტები „ევგენი ონეგინიდან“ და „ავაზაკებიდან“ („Братья-разбойники“), რომლებიც გამოქვეყნებული აქვს ი. გრიშაშვილს⁸.

სოლომონ რაზმაძის თარგმანები სპეციალურად შეუსწავლიათ ი. გრიშაშვილსა და კ. დონდუას. ორივე მკვლევარი აღიარებს მათს საკმაოდ მაღალ დონეს. კ. დონდუა ს. რაზმაძეს მოიხსენიებს როგორც „ნიჭიერ ქართველ მთარგმნელს“⁹, რომელიც საკმაო ოსტატობას იჩენს და, ცდილობს რა გადმოგვეცეს პუშკინის მუსიკა, ზოგჯერ აღწევს კიდევ მიზანს ტექსტიდან საკმაოდ თავისუფალი დაშორების ხარჯზე¹⁰. დადებით შეფასებას აძლევს სოლომონ რაზმაძის თარგმანებს ი. გრიშაშვილი, რომლის მოწმობით, „მისი ლექსთწყობა ოცდაათიანი წლების პოეტებთან შედარებით მსუბუქი და მარტივია. სოლომონს აქვს პოეტური ინტუიცია, ეხერხება რითმების რხევა და ალიტერაციებიც“¹¹.

სოლომონ რაზმაძეს ნათარგმნი აქვს დიდი პოლონელი პოეტის ადამ მიცკევიჩის „ფარისი“ და ფონევიზინის სატირული ლექსი „Послание к слугам моим Шумилову, Ваньке и Петрушке“, რომლებიც გრიგოლ ორბელიანისთვის გადაუცია შესადარებლად და

6 საქ. სსრ ცენტრარქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექცია, № 1446 (I — № 489, II — № 490, III — № 491).

7 საქ. სსრ ცენტრარქივი, ფონდი № 1457, № 13.

8 ვაზ. „კომუნისტი“, 1935, № 229, 2. X; ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937, № 4, 18. II.

9 კ. დონდუა, პუშკინი ქართულ ლიტერატურაში: კრ. „ა. პუშკინი საქართველოში“, თბ., 1938, გვ. 145.

¹⁰ იქვე, გვ. 144.

¹¹ ი. გრიშაშვილი, პუშკინის პირველი მთარგმნელები: კრ. „ა. პუშკინი საქართველოში“, თბ., 1938, გვ. 142.

შესასწორებლად. ეს არჩევანი მეტად საგულსხმოა. მიცკევიჩის „ფარისის“ თარგმანით ს. რაზმაძემ ქართველ მკითხველს გააცნო პოლონური რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის შესანიშნავი თხზულება, ხოლო „ფონვიზინის სატირის თარგმანით გამოამჟღავნა თავისი დამოკიდებულება მეფის ხელისუფლებისადმი“¹².

მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს სოლომონ რაზმაძის ორიგინალური შემოქმედება. სამწუხაროდ, იგი მთლიანად არ არის მოღწეული. მკვლევართა ვარაუდით, მას თავისი ნაწერების დიდი ნაწილი უნდა მოესპო თავრიზში, როცა შეიტყო შეთქმულების გაცემის ამბავი, ხოლო პენზისდროინდელი შემოქმედების ნიმუშები დაიკარგა მისი შვილის, ცნობილი მუსიკისმცოდნის — ალექსანდრე რაზმაძის არქივთან ერთად.

სპეციალურ ლიტერატურაში სოლომონ რაზმაძის შემოქმედების ხასიათის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ალ. კალანდაძე მას კლასიციტად მიიჩნევს. იგი თვლის, რომ „მართალია... სოლ. რაზმაძე 30-იანი წლებიდანვე იჩენს რომანტიკული პოეზიისადმი გარკვეულ ინტერესს, — თარგმნის პუშკინს, მიცკევიჩს, — მაგრამ თავისი მხატვრული აზროვნებით, სამყაროს აღქმით, ფსიქიური წყობით, სტილითა და ენით, მაინც კლასიციტად რჩება“¹³. გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით კი სოლომონ რაზმაძე რომანტიკოსი პოეტია თავისი შემოქმედების თემატიკით, იდეური მიზანდასახულობით, ლირიკული განცდების სიმძაფრით, თუმცა გამოყენებული აქვს კლასიციტური ლიტერატურის ატრიბუტები და შედარებებისა და პარალელებისთვის მიმართავს ხოლმე მითოლოგიას¹⁴, მაგალითად, „ღიანას მეკლიშში“, რომელშიც მოიხსენიებს 1832 წლის შეთქმულების თანამგრძნობ თორმეტ ქართველ ქალს, და უსათაურო ლექსში „უსამართლოა მართლა ბუნება“.

რომანტიზმს მიაკუთვნებს სოლ. რაზმაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ყველა მისი მკვლევარი, მათ შორის — აბ. მახარაძე მონოგრაფიაში „ქართული რომანტიზმი“¹⁵ და ნ. ალანია ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემატურ კურსში¹⁶.

ს. რაზმაძის შემოქმედების პირველი პერიოდიდან ყურადღებას იპყრობს პოლიტიკური ხასიათის არაკი „დათვი და ცხვარი“, რო-

12 ს. ხუციშვილი, ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევები, თბ., 1969, გვ. 49.

13 ა. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I, თბ., 1977, გვ. 49.

14 ს. ხუციშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

15 აბ. მახარაძე, ქართული რომანტიზმი, თბ., 1982, გვ. 79—100.

16 ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1969, გვ. 194—200.

მელშიც აღევლინულად არის გამოხატული შეთქმულთა დამოკიდებულება საქართველოს რუსეთთან შეერთებისადმი. საერთოდ, შემოქმედების პირველ პერიოდში, ე. ი. 1832 წლის შეთქმულების გაცემამდე, ხოლომონ რაზმაძე საკმაოდ კატეგორიულია და გადაწყვეტი მოქმედების მომხრეა. აი, რას ამბობს იგი ლექსში, რომელიც წარუძღვარა ოდილიონ ბაროს თხზულების თარგმანს:

ვინა ვალია თავის დადება მამულისათვის ყოვლის კაცისაგან,
მის გამო მეცა, კადნიერ ქმნილმან, ვსთარგმნე ეს წიგნი რუსთა
გნისაგან.

დაბეჭდვასაცა არაა მრიდდა, რომ ივერიელთ ისწავლონ მისგან
და მით მწე ექმნან მამულსა თვისსა და თავი იხსნან სკვითთ
დესპოტიზაგან¹⁷.

ამ ლექსთან სრულ კონტრასტს ქმნის 1834 წელს, ე. ი. უკვე გადასახლებაში შეთხზული ოდა „ალექსანდრე პირველის ძეგლზედ დასაწერად“:

დიდება შენდა, დიდება შენდა!
მკლავო ძლიერო, დიდება შენდა!
შენ დააწყარე სვეტი ტინისა
რეცა ცის ზომად, სახსოვრად მისა,
ვისიც სახელი მზეებრ პრიალებს,
გულთა ატფილებს, სოფელს ანათებს. *
მგარამ შენ, ვმირო, რა გაგიძნელდეს,
ვინ თითოს მიძიმის ლახტის დაცემით
დაეც სიმძლავრე მზე-მთოვარისა¹⁸.
აღენთი, სვეტო, სიამოვნებით,

რომ აღიმართე ალექსანდრესად,
მომავალნიცა საუკუნენი
მას კურთხეულსა ექმნენ ძეგლებად.
იხარე, სვეტო, შენს სახელზედა
დიდება ყოვლის ობელისკების
შენს დიდებაზედ ესრეთ განაქრების,
ვითარცა წვეთი რკინის შანთზედა.
ნუშცა შეგარყევი მძლავრისა მკლავი,
ნუშცა დეღვანი ეამთა ეამების,
ვითა ეღბრუსსა ნელი ნიავი¹⁹.

უნებურად გვახსენდება გრ. ორბელიანისეული სადღეგრძელო ნიკოლოზ პირველისა, შეტანილი მის ცნობილ თხზულებაში (ჭეშმარიტად, ძალა აღმართს ხნავს!).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ს. რაზმაძის პატრიოტული ლექსები, დაწერილი გადასახლების შემდგომ ხანაში, რომლებშიც სამშობლოს სიყვარულთან ერთად იგრძნობა პოლიტიკური იდეალების კრახით, სამშობლოსა და დედისაგან მოწყვეტით გამოწვეული განცდები. ეს ლექსებია: „ეღბრუსი“ განმარტებითურთ, „იღინე, წვიმაე“, „მამულს“, „სოფელს“ და სხვ.

ერთი ნაწილი სოლომონ რაზმაძის შემოქმედებისა სატრფიალო ლირიკაა. რომანტიკული უშუალობა და განცდების სიფაქიზე იგრ-

17 ხალი ქართული ლიტერატურა (XIX), ქრესტომათია, I, 1979, გვ. 111.

18 მზე — სპარსეთი, მთვარე — თურქისტანი. შენიშვნები ს. რაზმაძისა.

19 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი A 1284 (სოლომონ რაზმაძის ლექსები, გადაწერილი ვ. კარბელაშვილის მიერ).

ძნობა ლექსებში „შენით აღმევსო ტკბილის გრძნობითა“ და „სიყვარული ესრეთი ხამს“²⁰.

ლექსების ერთ წყებაში პოეტი ებიკურეულ განწყობილებას ამჟღავნებს. მას „ჯიხვთა ჯახაჯუხით“ სურს მტვივნიელი განცდების გაქარვება. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ლექსები „სიტკბოება“ და „რისთვის მარტოებ“²¹.

გასაოცარი სინაზითა და სიფაქიზით უმღერის ს. რაზმაძე ერთადერთ შვილს 1846 წელს დაწერილ უსათაურო ლექსში „შვილო ჩემო ბვენიერო“. ეს ლექსი გამოუქვეყნებელია. მოგვყავს იგი მთლიანად:

შვილო ჩემო შვენიერო,
ნუგეშო ჩემო ძლიერო,
დაიძინე, ტურფავ სრულო,
მოველანე თვალთა, რულო,
ტკბილის ძილით დააძინე!
ღმერთო, ღმერთო, განარინე
ჩვენებისაგან ცუდისა
და სულისაგან მრუდისა.
მოღიბე, ნახეთ ყრმა შინარე,
მისი დარი საესე მთვარე.
ნარნარია სახე მისი,
ვითა საამო მისი.
მშობელთ გულის სიხარული,
მათი სასიება სრული.
ვარდის მშავასი მისისა,

თვალთა ფერი ჰშვენის ცისა,
ღიმილი ანგელოზისა,
მცხოვრებია ედემისა.
როს სიბნელე დაიხოს,
მწემან სხივი მოაქციოს
ზედა ველთ და მცენარეთა
და ფრთოსანთა მგალობელთა
იწყონ ხმობა ტკბილის ხმითა.
მათის საამო ძნობითა
ვაიღებე ღიმილითა,
მზიარულითა გულითა,
ვით გაზაფხულა მცინარე
და ვით მკლოვარე (sic!) მღინარე.
ანგელოსთ სიამოვნება
ზეციითამც მოგველინება²².

ძნელი გასაზიარებელია ა. კალანდაძის მოსაზრება, რომ „მხატვრულ ნაწარმოებებში მისი (სოლომონ რაზმაძის. მ. კ.) წარმოსახვა უთუოდ ვერ სცილდება კლასიციტური ნორმებისა და წარმოდგენების ფარგლებს. ავტორის პოზიცია აქ მუდამ მეტისმეტად კამკამაა, პოეტური ხერხები ნაცნობი, ფიქრი ფანტაზიის მოკლებული, ალევგორია ტენდენციურად ნათელი, მორალი — დეკლარაციული“²³.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ს. რაზმაძის იუმორისტული ლექსი „მოსიკასაგან თქმული შაირი მისსავე თავზედ“²⁴, რომელშიც კომიკურად არის აღწერილი ებრაელი მეწვრიღმანის თავგადასავალი. ავტორს აშკარად აქვს იუმორის გრძნობა, რასაც, სხვათა შორის, ოსტა-

²⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი A: 1284 (სოლომონ რაზმაძის ლექსები, გადაწერილი ვ. კარბელაშვილის მიერ).

²¹ იქვე.

²² იქვე.

²³ ალ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I, თბ., გვ. 194.

²⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი A: 1284.

ტურად ავლენს ერთ პროზაულ თარგმანშიც, რომელსაც ჰქვია „ესე შემდგომნი ხუთი ქარტა ავთრათნი, მიწერილნი მინისტრებთან ფლოტის აფიცარის უფლის კროპატოვისაგან“.

სოლომონ რაზმაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა გამოცემული არ არის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ი. გრიშაშვილის პუბლიკაციას მისი თარგმანებისა და ახალი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში დასტამბულ რამდენიმე ლექსს. ეს ლექსებია: „ვინა ვალია“, „დიანას მეჭლიში“, „უსამართლოა მართლა ბუნება“, „ელბრუსი განმარტებითურთ“, „მამულს“, „სოფელს“, „ვარდი“, „იდიწე, წვიმავ“ და „დათვი და ცხვარი“²⁵. ეს, რა თქმა უნდა, არ ქმნის სრულ წარმოდგენას ტრავიკული ხვედრის მქონე პოეტის შესახებ.

სოლომონ რაზმაძის ცხოვრების გზა საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მ. გოცაძისა და ნ. ალანას მიერ გაწეული შრომა²⁶. შესწავლილი და დაფასებულია ს. რაზმაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა იდეურ-მხატვრული თვალსაზრისითაც. რაც შეეხება მის ენას, იგი არ არის მოაზრებული მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ენობრივი ტენდენციების ფონზე, არ არის გათვალისწინებული სოლომონ რაზმაძის ადგილი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში. წინამდებარე ნაშრომი ამ ხარვეზის ნაწილობრივ შევსებას ისახავს მიზნად.

ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ სოლომონ რაზმაძე ენობრივი თვალსაზრისით არქაისტია. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ანტიონისეული მაღალი სტილის დონეზეა. მაგრამ არ იქნებოდა მართებული არ დაგვენახა ის განსხვავება, რომელიც ამკარად შეიმჩნევა სოლომონ რაზმაძის პროზაულ თარგმანებსა და პოეტურ (თარგმნილსა და ორიგინალურ) თხზულებებს შორის.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა სოლომონ რაზმაძის ნაწერები გავვემიჯნა ენობრივ-სტილისტიკური თვალსაზრისით, ერთ ჯგუფში შეგვეტანა რუსულიდან გადმოღებული პოლიტიკური თურელიგიურ-ფილოსოფიური ხასიათის პროზაული თხზულებები, მეორეში — თარგმნილი და ორიგინალური ლექსები.

I. ს. რაზმაძის პროზაული თარგმანების ენა

გაანალიზებული გვაქვს სოლომონ რაზმაძის შემდეგი თარგმანები: „ტრიპოლური მართლმსაჯულება“, „ტიმოთე, ვინა დამტკიცება, რომელ კაჟავლათა განპრყენეს ზნენი“, „ესე შემდგომნი ხუთი ქარტა

²⁵ ახალი ქართული ლიტერატურა, XIX, ქრესტომათია, I, 1979, გვ. 111—121.

²⁶ მ. გოცაძე, სოლომონ რაზმაძე: თსუ შრომები, XXXV, 1949; ნ. ალანა, სოლომონ რაზმაძე, თბ., 1968.

ავტორათნი მიწერილნი მინისტრებთან ფლოტის აფიცარის უფლის კროპატოვისგან“, „ადამის პლნი გრძნობანი“²⁷, „პირველნი საფუძველნი საზოგადოისა ისტორიისანი“²⁸, აგრეთვე ოდილიონ ბაროს მოწოდება (შეთქმულების საქმეებში — პროკლამაცია) სათაურით: „პრეფექტი სენის დეპარტამენტისა თესთა თანამოქალაქეთა მიმართ“²⁹. ორი უკანასკნელი თარგმანი ავტოგრაფს წარმოადგენს. ამიტომ ენობრივი ანალიზისას უპირატესობას მათ ვანიჭებთ.

დასახელებული თარგმანების ენასა და სტილზე წარმოდგენის შესაქმნელად მოვიყვანთ რამდენიმე ამონარიდს:

„ტრიპოლური მართლმსაჯულება“:

ბ ვინადგან ხსენებულსა ურიასა არა აქუს ეგოდენი ფული, რა მისცეს ბლისტსა გარდამავლობისათუს, არამედ ადგილობითსა საზოგადოობასა ებრაელთასა თანა ამს შემოტანად დაუყოვნებლივ მას ზედა დადებულისა ფულისა დასასჯელად მებრ სჯულისა ჩუშნისა.

„ტიმოთე“:

იგინი კაცთა ნათესაისათუს ფდ მავნებელ არიან და თუთ ღეომეტრიისა და არიქმეტეის მომპოვნებელნიცა არიან საშინელნი მხეცნი და ყოველნი ჰსწავლანი სხვა არარაი არიან, ვითარ ოდენ შოლტნი ქვეყანასა ზედა გავლენილნი და უკეთუ არა იგინი, ჩუშნ მარადის ოქროვანი საუკუნე გვექნებოდა.

„ადამიანის პლნი გრძნობანი“

აწცა ნათლად მახსოვს წამი იგი მხიარულებისა და განცუფრებისა, ოდესცა პლ ვიგრძენ მყოფობა ჩემი. ვერ სადამე მოძილემან გამოხატვად, თუ რა ვარ მე, სადა ვიყავ და სადით განვსჩნდი, აღვიბილენ თვალნი და ვინვიცადე რა შევნიერი, ნათელი კამარა ცისა, ფერი ორქილთა, სისპეკალე წყალთა, ვსოქვი, რომელ ხედვა არს უღმამატებულესი გრძნობა და ყთა მათ ხაგანთა საკვრველად მხიარულ ჰყვენს და შეარბიეს გრძნობა ჩემი.

„პირველნი საფუძველნი საზოგადოისა ისტორიისანი“:

კ: არა მიაგოა ღწ უბრალოსა სისხლისათუს?

მ: მან უბრძანა ილია წწლსა, რათა გამოუცხადოთ აქაბს, რლ სისხლი მისი დაითხვეს მისვე ადგილსა ზა, სადაცა დაითხია სისხლი ნაბოთესი, რლ იეზაბელ იქმნების შექმულ ძალლთა მიერ და რლ ყი ნათესავი მისი აღწყვედილ იქმნების.

ოდილიონ ბაროს მოწოდება:

მმართველნი თქუენნი ფრიად მწუხარე არიან უწესობათა მიერ კლ დამშლელთა საზოგადოისა მყოფროებისა ეამსა ამას, ოდესცა აღებმიცემობა და მრე-

27 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი A: 2226.

28 საქ. სსრ ცენტრარქივი, ქართული ხელნაწერთა კოლექცია, № 1446 (№№ 489, 490, 491).

29 საქ. სსრ ცენტრარქივი, ფონდი № 1457, № 13, გვ. 2359—2360 ა.

წავობა, რომელთაცა ეჭირებოდათ უშიშროებაი, გამოვიდოდენ შეიწრებულსა თვისსა მდგომარეობისაგან.

სტილებრივი თვალსაზრისით საყურადღებოა რუსულიდან ნათარგმნი „ავთრათნი, მიწერილნი მინისტრებთან ფლოტის აფიცარის უფლის კროპატოვისაგან“. „ავთრათთა“ პერსონაჟი ტრაგიკომიკურ სიტუაციაშია, იგი ფლოტიდან დაითხოვეს და, შიმშილის საფრთხის წინაშე მდგარი, განცხადებებით მიმართავს იუსტიციის, ფინანსთა, შინაგან საქმეთა, განათლებისა და სამხედრო მინისტრებს. ჩვენ არ ვიცნობთ ორიგინალს, მაგრამ საფიქრებელია, რომ იგი მაღალფარდოვანი სტილით იყო შესრულებული. სოლომონ რაზმაძეს აშკარად უზარუნია „ავთრათთა“ არა მარტო შინაარსის, არამედ განწყობილების გადმოსაცემად, რისთვისაც მიუმართავს, ერთი მხრით, ძველი ქართულის გრამატიკული ინვენტარისა და სტილური წყობისათვის, ხოლო, მეორე მხრით, რუსიციზმებისა და ბარბარიზმების გვერდით მოუშველებია „მდაბიური ქართული“. ნიმუშები:

მთლად ათი წელი ვირყვოდი მე თსკერსა ზედა შორის წყლიერთა (მეზღეურთა. მ. კ.), ხოლო დასასრულ ბუზტი ზედნიერებისა ჩემისა ვანსქდა და მოვტივტივდი პირსა ზედა ბოროტ-შენიხვეულობისა და ვაოვე თავი ჩემი წყლიერთავან გამორიცხული.

სტებერ უკეთუ წიგნი ესე მიღებულ ექმნების თქვენ მიერ წინააღმდეგად, მანაჲც სულ ერთი არს ჩემთვის, სიბირსაცა ეგრეთვე ანათებს მზე, აქაცა ყინდების სისხლი საზოგადოისა სიგრილისაგან, ხოლო მუნ განტყების, იგი ურთიერთისა თანაზიარობისა გამო ტანჯულთა უბედურათა.

მყისვე მოიჩხრიკა მან სიღრმესა შა სულისა თვისსა და აღმოიძია მუნით შენახული კურთხევა რადღენიმე ფუთი და დამტვრთა მით. და უბრძანა სიმსუქნით განსივებულსა დიაოკსა თვისს ვაცილება ჩემი კარბადმდე და კულავ არღარა შემოშვება.

ანტონისეული მაღალი სტილის ნიმუშია სოლომონ რაზმაძის წერილი იონა ხელაშვილისადმი:

აჲ ესერა თქვენი წიგნი, დეკემბრის 17 დაწერილი, ხორცისა დამატკობიელი და სულისა ზე აღსვლად მფრთოვან მყოველი, დედისა ჩემისა წივანსა შინა დებულნი, მივიღე ამა წელსა იანვრის 1, რომლისაგანცა მადლობად შეგსწირე მაღალსა ვედრებითურთ ცოდვილითა პირითა ჩემითა, რათა განამრავლოს მაღალმან სიცოცხლის წყარომან და ძალთა ძალმან დღენი ცხოვრებისა თქვენისანი, ვინაოვან ჰპაძით ღრთისა წერილისაებრ, რაოდენ შეიძლება კაცისაგან ხატისა ღრთისა, ე. ი. აღნთ ტკბილსა წყაროსა ვითარცა სიტყვით, ეგრეთვე საქმით ქვრივთა, ობოლთა და ყოველთა გაჭირვებულთა ზედა; ვითარითა სანითა და ვითარითა სიტყვითა წარმოვსთქვა მადლობად წინაშე თქვენსა, სულიერო მამაო, ზეციერისა დარივებისათვის და მოხსენებისათვის ჩემ ცოდვილსა საღრთოსა ლოცვასა შინა თქვენსა; ჰემ-მართლად ღვინოთა და ზეთად ექმნა სულიერ და ხორციელ შეწინიერად აღნაქსულნი სიტყვანი თქვენნი ცოდვისაგან მოწყლულსა სულსა და ხორცსა ჩემსა, გარნა კე-

თლი სული არა მოვლის მადლობის მიღებასა. ნეტარ არს მყოფელი კეთილისა მო-
ყვასისადმი, რომელი არა აზნობს მადლობისა გინა სასყიდელისა მოღებასაჲ.

ვფიქრობთ, ზოგადი სურათი წარმოჩნდა, კონკრეტულად კი ვი-
თარება ასეთია:

1. ორთოგრაფია

სოლომონ რაზმაძის თარგმანების ორთოგრაფია რთულია. მწე-
რალი ხმარობს ძველ **ა, ბ, ვ, უ, ჯ, ძ** გრაფემებს, მაგრამ მათი გამო-
ყენება არ არის სისტემატური და ვითარების სტაბილურობაზე ლაბა-
რაკი შეუძლებელია.

ა- უმარცვლო **ი-ს**. რაზმაძის ენაში ბოლოხმოენიან სახელთა სა-
ხელობითი ბრუნვის ნიშნად გვხვდება: რა**ა**, ცდა**ა**, ერა**ა**, ხსონ**ა**,
ბრძოლ**ა**, ძლევ**ა**, მყოფობ**ა**, დრო**ა**. მაგრამ დროდადრო **ა-ს** ენა-
ცვლება **ი**: ჩვეულებრივია კითხვა**ი**, მიგება**ი**, ერა**ი** და სხვ. ფორმები.

ა-ს შეიცავს ფუძეუკვეციელ სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ნი-
შანი: სამეფო**ა**სა, მხოლო**ა**სა, საზოგადო**ა**სა, დრო**ა**სა, სამოქალაქო**ა**-
სა, ერა**ა**სა. მაგრამ არანაკლებ ხშირად ხდება **ა-ს** შენაცვლება სრუ-
ლი **ი** ხმოვნით: საზოგადო**ი**სა, ერა**ი**სა, დრო**ი**სა.

უფრო იშვიათია **ა** ფუძეუკვეციელ სახელთა მოქმედებითი ბრუნ-
ვის ნიშნის შემადგენლობაში: სარა**ა**თ („იგი მივიდა ეგვიპტედ ცო-
ლით თვისით სარა**ა**“, — ისტ. I), სადა**ა**თ (|| სალით), ვინა**ა**თგან
(|| ვინაიდგან || ვინადგან), სამოქალაქო**ა**თა (ისტ. I).

ბ გრაფემა, რომელიც საკმაოდ ხშირად გვხვდება **ს**. რაზმაძის
ნაწერებში, არ აღნიშნავს **ეა** დამავალ დიფთონგს. თუ **ე-ზე** დაბო-
ლოვებული ფუძე დაირთავს სახელობითი ბრუნვის ნიშანს, ეს ფაქტი
გრაფიკულად აღარ აღინიშნება. გვაქვს: სიღრ**მეა**, მცირ**ეა**, სიმაგრ**ეა**...
(მღრ. თთუ**ბ**, — ისტ. I.). **ს**. რაზმაძესთან **ბ** ჩვეულებრივ **უბ** კომ-
პლექსში შედის, რაც საერთოდ არის დამახასიათებელი შესასწავლო
პერიოდის ქართულისათვის (იხ. ჩვენი „დავით მაჩაბლის ენა“, ოსტუ
შრომები XIII). მაგალითად: ჩუ**ბ**ნ. ჩუ**ბ**ნი, ჩუ**ბ**ნდა, კუ**ბ**რთხი, შემთხუ**ბ**ვა,
იუ**ბ**ნის. მაგრამ არც ეს წესია ბოლომდე გატარებული.

უ. უბ კომპლექსის გარდა, უმარცვლო **უ** (ზოგჯერ ქუდის გარე-
შე) გვხვდება ტრადიციულად მიღებულ ფუძეებში: მაყუ**ლო**ვანი, გა-
მოყუ**ლ**ევა, კუ**ლ**ავ, ღუ**თ**ად, მესამზღუ**ტ**რენი, სიკუ**ტ**ილი, იყუ**ტ**ნეს,
აყუ**ტ**ნდა. მაგრამ საკმაოდ ხშირად **უ** (|| უ ||)-ს ცვლის **ვ**. იხ. ნიმუშები:
საზღვა**რი**, ძვა**ლი**, აქ**ვ**ს, აქ**ვ**ნდა, თქ**ვ**ენი; ჩვენი და სხვ. უ-ს შეიცავს
I ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანი: დაგუ**ბ**თების,

30 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი A: 1284.

გრაქუნდეს, მაგრამ არც ეს წესია დაცული ბოლომდე (მხედველობაში გვაქვს ავტოგრაფული ნუსხები).

ვ გრაფემა, რომელიც უი ჯგუფს გამოხატავს, ს. რაზმაძესთან შედარებით სისტემატურად გვხვდება -თვს თანდებულის შემადგენლობაში: საგანთათუს, ნაწილთათუს, ნათესავისათუს, მშინერისათუს, მოძიებისათუს. ესმარება იგი ფუძეშიც: დამტვრთა, საკვრეველად, ნამდვლად, არ-სინამდვლე, მშუდობა, განცვფრება, ეგვბტე. მაგრამ საკმაოდ ხშირად ვ-ს ცვლის ვი (განცვიფრება, ეგვიბტე). უფრო ხშირად კი ვ გრაფმა ვ-ს ბადალია: თვისით, იტყვის, თხზვიდენ და სხვ.

ჟ. ამ გრაფემის ხმარება რამდენიმე ფუძით შემოიფარგლება. ესენია: ფერვი, კელი, კელმწიფება, საველმწიფო, კელოვნება, უთანჯობა. სამაგიეროდ, თითქმის არ ხდება ჯარის შენაცვლება ხანით.

ჭ. იყენებს ს. რაზმაძე ამ გრაფემასაც: ქონტენელრ, არიქმეტიკა, ქიმადა, ქინანსი, ქებერვალი, პრექექტი, ქრანცია. შდრ. ფილისტიმელე, ფილოსოფიური, კონფუცი.

სოლომონ რაზმაძის თარგმანთა ენის ორთოგრაფიულ თავისებურებათაგან ყურადღებას იპყრობს:

1. ბერძნული ანბანის ψ გრაფემის გადმოცემა ღ თანხმოვნით: ლომეტრია, ღენრიხი, ღერკულესი; ვირდილიუსი, ღარმონია, ლოდიკური, ღვარდია, ჯართაღენი, ვულლატა, ხრონოლოღია (||ხრონოლოგია), ეტიმოლოღია და სხვ.

2. ბერძნული χ ბგერის გადმოცემა ხ თანხმოვნით (ქ-ს ნაცვლად) რუსულის გავლენით: ხრონოლოღია, ხრონოლოღისტე, მონარხია, ეპოზა, სტიხი, მესტიხობა.

3. უცხოური ფუძეების kt კომპლექსში კ მკვეთრი თანხმოვნის შენარჩუნება მომდევნო მკვეთრსავე თანხმოვანთან დისიმილაციის გარეშე. მაგალითად: პრექექტი, ატეონი, ინდიკტიონი, სექტემბერი.

4. ორმაგი თანხმოვნები უცხოურ ანთროპონიმებში: სარარა (|| სარა) და ოდილიონ ბარარო, აგრეთვე ქართულ ჩიჩულ და თივე (šič) ფუძეებში (შდრ. პარალელური ფორმები ერთ წინადადებაში: „და პრათ ორი თვე წელიწადსა, რლსაცა ჰქონდა პლ ათი თთვე“; — ისტ. II. იბ. აგრ. როსხი||როსი, — ისტ. I³¹).

ფონეტიკურ მოვლენათაგან ყურადღებას იპყრობს შემდეგი:

1. ს. რაზმაძის თარგმანთა ენაში რედუქციას არ განიცდის საობიექტო მიმღებობის ვითარებითი ბრუნვის ფორმები, რაც ძველი ქართულის სათანადო ვითარებას მოგვაგონებს. მაგ.: განუზომელად, გა-

31 პირველნი საფუძველნი საზოგადოება ისტორიისანი, I, II, III. საქ. სსრ ცენტრარქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექცია, № 1446; I—№ 489, II — № 490, III — № 491.

ნურჩეველად, დაუცხრომელად, განურისხებელად, უცნებელად, განსა-
ტივებელად, აღსაშენებლად, აღმოსაჩინებლად, დასაწესებლად.

უკუმშველია ზოგი სხვა ფუძეც, მაგ.: კალენდარი, მგელი, ბატ-
კანი, პატიოსანი. სამაგიეროდ, კუმშვადია ძალი (საჭურველისა ძლით
— ისტ. I; ... რომლისა ძლით, — ისტ. I; კუჭრთხისა ძლით, ისტ.
I).

2. მყდერდება ყოველ ს ბგერა მყდერი თანხმოვნის მეზობლად
ამ მხრივ საყურადღებოა ფორმა მგავსი, სადაც ასიმილაციასთან
ერთად ხდება მეტათეზი (მდრ. მგავსი — „ვარდის მგავსი მაი-
სისა“ — ორიგინალური ლექსიდან „წვილო ჩემო (მგენიერო)“. ყუ-
რადღებებს იპყრობს კონტამინაციის გზით მიღებული მგავსი, რო-
მელიც აგრეთვე გვხვდება თარგმანთა ენაში. დისიმილაციური გამ-
ყდერება ხდება სიტყვაში რესპუბლიკა > რეპუბლიკა (ისტ. II).
მდრ. იქვე: რესპუბლიკა (ისტ. II).

2. გრამატიკული თავისებურებანი

სოლომონ რაზმაძის ნაწერები, კერძოდ, მისი თარგმანები ვიზუა-
ლურად ძველი ქართულის ასოციაციას იწვევს. ამ განწყობილებას
ქმნის მხედრულ ტექსტში ასომთავრულის შეტანა და ხშირად ხმარე-
ბულ ფორმათა რეგულარული დაქარაგმება. სურათს ამძიმებს ძველი
ქართული ენის გრამატიკული წყობის თავისებურებათა სისტემატუ-
რი აღდგენა, რაც, თავის მხრივ, ძველი ქართულის შესანიშნავ ცოდ-
ნაზე მეტყველებს. სხვა საკითხია, თუ ბოლომდე არ ხდება ამ თავი-
სებურებათა დაცვა-აღდგენა.

1. ზემოთ აღინიშნა, რომ ბოლოხმოვნიანი სახელები სოლომონ
რაზმაძის ნაწერებში მ-ნიშნიანია, მაგრამ მ-ს საკმაოდ ხშირად ცვლის-
-ი. ასევე ხშირია სახელობით ბრუნვაში უნიშნო ფუძის ხმარება:
ბრძოლა, ერა, კელმწიფება, სიცხადე, ოქრო, საზრდო...

2. ძალაშია მოთხრობითი ბრუნვის ძველი -მან დაბოლოება: მო-
ყვარებმან, მოძალემან, გემებამან, სიტკბობებამან, უმეცრებამან, ქარ-
მან, მართლმსაჯულმან, განრთულმან, განცვიფრებულმან, უცნაურმან,
საიდუმლომან, ძალმან, შარავანდბრწყინვალემან მზემან. მაგრამ
დროდადრო თავს იჩენს -მა/-მ დაბოლოებებიც: ტიმოთემ, სარამ,
შვილებმა, კარდინალმან რიშელიემ...

3. ს. რაზმაძე აღადგენს პირთა სახელების ცნობილ თავისებურე-
ბას: სახელობითსა და მოთხრობით ბრუნვებში აღაშინის სახელი არ
დაირთავს ბრუნვის ნიშანს. მაგალითად:

სახელობითი ბრუნვა:

ადგილსა მის, სადაცა აბრაამ და ისაკ დაფლულ იყუნეს (ისტ. I); ის-
მაილ ცულად ეცეოდა ესავსა, სარრას ძესა (ისტ. I); ვის მიერ სარწმუნო ჰყო
აბრაამ ღწ, რომელ გყოლებს მის ძე... (ისტ. I); რლსა ადვილადმდე მივიდა
ლოთ (ისტ. I); წარვიდა იაკობ სახლელთითურთ თვისით (ისტ. I); რანსათვს
ყო განსყიდულ იოსებ მისთა ძმათავან? (ისტ. I), და ვით აღრჩეულ იქმნა...
(ისტ. I).

მოთხრობითი ბრუნვა:

სადითცა მოიღო სოლომონ ღწ მრავალი ყწ უმჯობეს და ყწ წმიდა
ოქრო იერუსალიმის ტაძრის ასაშენებლად (ისტ. II); რაჲ ჰყო რომელ... (ისტ.
II); რაჲ ჰყო მოსეი (ისტ. I).

მაგრამ ცხადია, ძველი ქართულის ამ თავისებურებას სოლომონ
რაზმაძე ბოლომდე ვერ იცავს. ამიტომ საკმაოდ ხშირად გვხვდება
ბრუნვისნიშნინი ფორმები, უფრო ხშირად — მოთხრობითისა. მა-
გალითად:

რაოდენნი კაცი მოიყვანა იაკობმან? (ისტ. I); დიდხანს იცოცხლა იო-
სებმან შდ მამისა სიკუდილისა? (ისტ. I); რაჲ ჰყო აბრაამმან? (ისტ. I);
...რლიცა ჰყო მოსემან (ისტ. I); ...რლისაცა უბრძანა სარამ ალყვანა ცო-
ლად თჳსად (ისტ. I).

4. სოლომონ რაზმაძე იყენებს წრფელობითის ფორმებს. შედ-
გენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი მასთან, ჩვეულებრივ, ფუ-
ძის სახით არის წარმოდგენილი. მაგალითად:

საშიშ არს, თანამედებ არს, მექონ არს, ცხად არს, მართალ არს,
მავნებელ არიან, საცნაურ არიან, შეტანილ არიან, სარგებელ არიან,
შემძღებელ არიან, აღბორცებულ ვიყავ, მხიარულ ვიქმენ, მოძულე-
ბულ იყვნეს და უწყალოდ შეიწრებულ.

5. ფუძეუქვეყნელ სახელთა ნათესაობითი ბრუნვის **ახა // -ისა**
დაბოლოებათა (გვ. 194) პარალელურად დასტურდება **-სი** დაბო-
ლოება. მაგალითად:

შს ენება ცოლად ალყვანა სარრასი (ისტ. I); დაითხია სისხლი ნებოთე-
სი (ისტ. I); ვინ იყო მემკვიდრე იეზეკიასი? (ისტ. II).

იხ. ავრეთვე სათანადო ფორმები პოეზიიდან:

„სილამაზე თვთ დიამასი, სინარნარე პრთხერპინასი“²

6. სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოებისას უპირატესობა
ენიჭება ნართანიან მრავლობითს. მოვიყვანთ რამდენიმე ტიპურ კონ-
ტექსტს:

კუთხეულ იყოს სახელი მხოლოდსა ღირსა, რომლისაცა წინაშე განხმებინ ცოდვილი, ეა განხმარნი ფოთოლი, ხოლო კეთილის-მოქმედი და პატიოსნე-ბითა შემოსილი განმწვანდებიან და აღყვავდებიან ეა უკეთილესნი ორძილინი... („ტრიპოლი“); სადაცა ისმის შეთანხმებულნი მუსიკათ ხმანი, მამზიარულელებნი სასმენლოანი, გამყვანელნი სულისანი სასიამოვნოს განაცხრომასა შა. („ტიმოთე“); შეშეცნებანი ჩემნი იყვნეს უთანხმონი, მსჯელობანი ჩემნი უსრულნი („ადამ.“); ზოლდა აწ დაღადებანი ესე სიკუდილისა მთხოველნი, წარმოთხუელნი შუკათა და ასპარეზთა ზედა, აღძვრანი ესე და პლაკატი, რამ არიან, თუ არა მძღავრობანი მართლ-მსაჯულებასა ზედა ყოფილინი? (ო. ბ.).

7. დროდადრო თავს იჩენს ე. წ. ორმაგი მრავლობითი, რაც და-მასასიათებელია ამ პერიოდის ქართულისათვის. მაგ: ფერებთა, ქინ-კებთა, წყლებთა, მინისტრებთა, წელიწადებთა.

8. თანდებულებანი ფორმებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ა) თვალში საცემია ცალკე მდგომ შინა და ზედა თანდებულთა სიმრავლე, რაც, თავის მხრივ, სახელებში ემფატიკური ხმოვნის სი-მრავლის მიზეზია.

შინა: ქალაქსა შინა, ფრანციასა შინა, ჭალასა შინა, ევროპასა შინა, სახლსა შინა, სივრცესა შინა, ქუბასა შინა, თემსა შინა, მდგო-მარეობასა შინა.

ზედა: ფსკერსა ზედა, პირსა ზედა შტიკსა ზედა, მედალთა ზედა, მინისტრებთა ზედა, ასპარეზთა ზედა, მდელოსა ზედა, ქვეყანასა ზედა, მიწასა ზედა.

ბ) ცალკე მდგომია თანა თანდებულიც: საბერძნეთსა თანა, სახ-ლსა თანა, ქრწყანასა თანა, მდელოსა თანა, ორძილთა თანა, მკუ-ღართა თანა.

ამასთან, სოლომონ რაზმაძე ითვალისწინებს იმ თანდე-ბულის ძველქართულ თავისებურებას: იგი სახელს (ადამიანის აღ-მნიშვნელს) მართავს ნათესაობით ბრუნვაშიც, თუმცა სათანადო წესი ყოველთვის დაცული არ არის. მაგალითად: სოლომონისა თანა, მის თანა. რომულისა თანა, ერისა თანა.

მაგრამ: ზღაპრისა თანა, მეორისა თანა.

გ) -ვით თანდებულს სოლომონ რაზმაძესთან ცვლის -ებრ: შე-სმენისაებრ, შეშეცნებისაებრ, სახლსაებრ, ნიავებრ, წერტილებრ.

დ) დროდადრო პრეპოზიციური და ცალკემდგომია მებრ: და-სასაჯელად მებრ სჯულისა ჩტმნისა, მებრ რჩევისა, მებრ დამტკიცე-ბისა.

მდრ.: ქვეითამებრ, განკითხვისამებრ, პაზრისამებრ, ხარისხისა-მებრ.

ე) გამოყენებულია და-თანდებულებანი ჩემდა, ჩტმნდა (||ჩვენ-და), მისდა, მათდა ფორმები. და თანდებული შეიძლება დაერთოს ნებისმიერ სიტყვას. მაგალითად: მართლმსაჯულებისდა.

ვ) შენარჩუნებულია ვითარებითი ბრუნვის ნიშანი -მდე თანდებულის წინ: კარებადმდე, უამადმდე, ხარისხადმდე, ყურადმდე. ადგილადმდე, მთადმდე, განთავისუფლებადმდე, საზადმდე, სლვადმდე.

შიდრ.: აქამომდე, მუნამდე, დრომდე, წლამდე.

ზ) -გან-თანდებულისანი მოქმედებითი წარმოდგენილია ორი საფეხურით:

ძირითადია -ით-გან: დასაბამითგან, შობითგან, განახლებითგან, ამიერთგან, მპყრობელობითგან, დაფუძნებითგან, მოსლვითგან, აბრაამისითგან, მარტითგან, დროითგან.

შედარებით იშვიათია -იდ-გან: ინდიკტიონიდგან, ოდიდგან, იანვრიდგან, სოფლიდგან, რიცხვდგან.

9. ძალაშია: ა) ადგილის მიცემითი: დაიმალა ქუაბს, მოვედ პერედნასა თქვენსა;

ბ) უთანდებულო მოქმედებითი აბლატივის ფუნქციით: ჰხმობდა კათედრით, წარმოსდგა სტოლით, გამოვიდენ ეგვიპტით, აღმოიძრო მუხით, სადით განვსჩნდი;

გ) უთანდებულო ვითარებითი მიმართულებითისქ ფუნქციით: შივიდა ეგვიპტედ, ბრძანა წარგზავნა სახლად თუსად, წარაეღინნეს... ამერიკად.

10. ს. რაზმაძე აღადგენს ნაწევარს და ინტენსიურად იყენებს მას. იხ. ნიმუშები:

ურია იგი, სახლი იგი, წამი იგი, ღარმონია იგი, დღეობანი იგი, ცდანი იგი, საგანნი იგი; გრძნობა ესე, წიგნი ესე, შეცთომა ესე, ლადადებანი ესე; თურქმან მან, წარტაცებამან ამან; წელიწადსა მას, ადგილსა მას, ქალაქსა მას; თავ-ხედობასა მას; ნაყოფისა მის, არმატიისა მის, სამეფოისა მის, ხარკისა ამის; მორჩილებითა მით...

თუ მსაზღვრელი პრეპოზიციურია, ძველ ქართულში მოქმედი წესისამებრ, ნაწევარიც წინამდებელი ხდება. მაგალითად:

კეთილი იგი სუნი, სხვადა იგი ნაწილი არსებობისა ჩემისა, საკუთარნი იგი ლექსნი, დროებითმან ამან არა-მყოფობამან, პირველსა მას ძილსა ჩემსა, მტკიცესა ამას არსებასა ჩემისა ნაწილისა, სხვაგვარსა ამას მყოფობასა შინა ახლისა ამის საამოსა გრძნობისათვის, ახლითა ამით შემთხვევითა, ყოველთა მათ საგანთა.

ცხადია, დროდადრო ჩნდება ჩვენებითი ნაცვალსახელიც, რომელიც ნაწევრის ადგილს იკავებს. იხ. ნიმუშები: შინაგანმან ამა დატკბოზამან, ამა შემთხვევისათუს, ამა დროთათუს, ამა ამადლებულსა და დიდებულსა თემსა შინა, ამა ძნელთა მდგომარეობათა შინა.

11. სოლომონ რაზმაძის თარგმანთა ენა ემფატიკური ხმოვნის სიმრავლით გამოირჩევა.

ა) უმეტესწილად გავრცობილია მართული მსახვრელი:

სახლისა უფალი, გალობისა ხმა, ლთისმეტყველებისა მეცნიერ-
მან, ქრთამისა არა მოყვარემან, პომეშიჩისა სახლსა, საზოგადოება
მყუდროებისა, სჯულისა დარღვევისა, თავისუფლებისა დაუმარხვე-
ლობასა.

ბ) ცხადია, გავრცობილია მართულ-შეთანხმებული მსახვრე-
ლიც:

ბუშტი ბედნიერებისა ჩემისა, სიმეოლი სარწმუნოებისა, წამი
მნისარულებისა და განცუფრებისა, კამარა ცისა, მოქმედება მართლ-
მსაჯულებისა, ველსა ზედა სამოთხისასა, მნათსა დღისასა, მოცემად
ადგილისა და საზრდოისა, ტვირთვად სასჯელისა, ჭამად პურისა, ერო
პარიქისაო:

გ) ბრუნვის ნიშნის გავრცობილ ფორმას მართავს შინა, ზედა,
თანა თანდებულები:

თემსა შინა, განცხრომასა შინა, ეტლებსა შინა, ურვასა შინა;
ქვეყანასა ზედა, ველსა ზედა, პირსა ზედა, ნივთსა ზედა; წყლული-
ერსა თანა, სახლსა თანა.

უმეტესწილად ნათესაობითი ბრუნვის გავრცობილ ფორმებს
ახლავს თვს და -გან თანდებულები:

ნათესავისათვს, რჩევისათვს, ზნეობისათვს, ყოფაქცევისათვს;
შემეცნებისაგან კროპატოვისაგან, სიგრილისაგან.

დ) ემფატიკური ხმოვანი დიდად უწყობს ხელს პრეპოზიციურ
მსახვრელის სახვრულთან ბრუნვაში შეთანხმებას:

სანატრელსა ველსა, ყოველსა სწავლასა, აწყყოსა მდგომარეო-
ბასა; საამოსა გრძნობისათვს, უმეტესისა სასჯელისა, საზოგადოისა
სიგრილისაგან, დიდებულისა ჩვენისა რევოლუციისა, საზოგადოები-
თისა რიგისა; მწარითა ტანჯვითა, განცხადებულთა გულითა, ვითა-
რითა სახითა, დიდითა სითავმდაბლითა, გარდამეტებულთა ძალითა.

12. როგორც მოსალოდნელი იყო, აღრეულია პირის აღნიშვნის
სისტემა:

ა) ერთპირიან ზმნას ორი პირის ნიშანი აქვს: პრეფიქსი და სუ-
ფიქსი: ჰ-ხმოზდ-ა, გან-ჰ-კრთ-ა, გან-ჰ-ხმეზი-ან, ჰ-სასოებ-ენ, წარმო-
ს-დგ-ა (შდრ.: ყინდების, განტფების);

ბ) გრამატიკულად ზედმეტი პრეფიქსი პირველი სუბიექტური პი-
რის ნიშნის შემდეგაც არის წარმოდგენილი: გან-ვჰ-კრთი, გან-ვს-
ჩნდი, აღ-ვს-დგვ, ვს-დგვი, წარ-ვს-დგი, და-ვს-ტკი შე-ვს-ცთი;

გ) პირისნიშნანია III პირდაპირობიექტური პირი: ჰ-რთო, გან-
ჰ-ყო, სარწმუნო ჰ-ყო, და-ჰ-კარგნა, შე-ჰ-კრინა, წარ-ჰ-კვეთნა,
ჰ-ნიშნედა (||ნიშნედა), ჰ-ნიშნენდენ, შე-ს-თხზნა, გან-ს-წყვიტონ,
ს-ტანჯვიდა (შდრ. დასჯიდა, განლევს, შერაცხა, განვლო...);

დ) III პირდ. ობიექტური პირი მრჩობლი პრეფიქსითაც: არის გადმოცემული: გამო-**მს**-ცა, **მს**-ცნა, მო-**მს**-დრიკნეს;

ე) იგი პირველი სუბიექტური პირის ნიშნის შემდგომაც არის დატული: უგულბელს-**ვმ**-ყავ, **ვმ**-გონებთ, **ვმ**-ყო, გამო-**ვს**-ცადე, **ვს**-თქვი, **ვს**-ცან.

ვ) პრეფიქსებით გატაცების შედეგია: მოჭრწმუნეობა, თანა**მს**წორი, გან**მ**კრთობა, **მს**წავლანი (|| სწავლა), **მს**წავლული, **მს**ჯული (|| სჯული), **მმს**წრფლ (|| მსწრაფლ) ფორმები. მიუხედავად ამისა, ს. რაზმაძისათვის **მ**-/ს- პრეფიქსთა ხმარება არ არის თვითმიზანი; რაც ამჟამად ჩანს „ცისკრის“ ავტორთა, მაგალითად, დავით მაჩაბლის ენაშ. სოლომონ რაზმაძე უფრო მეტ ზომიერებას იჩენს ამ შემთხვევაში.

13. ძველ ქართულში მოქმედი ნორმისამებრ, ს. რაზმაძის ენაშ-**ეხ** სუფიქსით აღინიშნება გარდაუვალ ზმნათა მესამე პირის მრავლობითობა წყვეტილში (იქმნენ, იყვნენ, მეჩვენენ, ეკიდნენ, ითარგმნენ, მომედრიკნენ, მომესმნენ, იშვნენ; გამოსცვივდენ, და გარდა-**მავალ** ზმნათა უწყვეტელში. მაგალითად:

იღენი ჩემნი... მიიღებდეს ვითარსამე ძალსა („აღამ.“); საგანნი იგი ჩემ შორის იყვნენ და შე ადგენდეს არსებობა ჩემსა ნაწილსა („აღამ.“); რწინცა ასწავლიდეს... რომელნიცა ურჩევდეს (ისტ. I).

მაგრამ **-ეხ** დაბოლოებას ცვლის **-ენ** მაგალითად:

უწყვეტელი: ღღესასწაულობდენ, დაისჯებოდენ, თხზვიდენ, გააქრობდენ, მასწავებდენ, იკითხვოდენ, აწარმოებდენ.

წყვეტილი: გამოვიდენ.

დროდადრო ჩნდება **-ნენ** დაბოლოებაც. მაგ.: აღბორვდნენ (ისტ. II). სხვა მაგალითები:

„რომელსა შინაცა იყვნენ იგინი პლად“ (ისტ. I); „მიწასა ზა ვერ მოთავსდნენ ერთად“ (ისტ. I); „შთაცვივდნენ კერპმსახურებასა შინა“ (ისტ. I); „რწლსაცა ხმარობდნენ რომელნი“ (ისტ. I); „ლურსმებითა რვალისათა პნიშენი დნენ წელიწადებთა“ (ისტ. I).

14. სპორადულად თავს იჩენს **-სთ** დაბოლოება (შენარჩუნებულთა მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ობიექტის მრავლობითის **-თ** სუფიქსის წინ): ძალუძსთ, ჯერ-უჩნსთ, გისწავლივსთ, ეწოდებივსთ, აქუსთ, შეეწირინსთ, ეშინოდესთ, ჰყავსთ.

15. უპირატესი უფლებით სარგებლობს **-ის** დაბოლოება დინამიკური ვნებითი გვარის ზმნათა აწმყოს მესამე პირში: მიმელების, იბობების, იქმნების, ყინდების, განტყვების, იძიების, იწოდების, იწყების, განგრძელებების, მოიბოვების შესრულებების, დასრულებების,

განიყოების, დამატების, დაგეგმების, იშტების (შდრ.: წინა აღუ-
დგება, იქმნება, იწოდება).

16. ს. რაზმადე უპირატესობას ანიჭებს ზმნისწინთა არქაულ ფორ-
მებს. ზოგ შემთხვევაში აღადგენს ხმარებიდან გამოსულ ზმნისწინებს.

გან-: განდვიძება, განყოფა, განწესებულნი, განვიპყარ, განვამე-
ორე, განვალე, განილოს, განჰყოს, განმაჩერა, განვლო, განვჰკრთი.

აღ-: აღვსდევ, აღვიხილენ, აღვივსო, აღრია, აღურეველად, აღ-
ყვანა, აღშენება, აღსუბუქება, აღსაშენებლად.

გარდა- : გარდავსდვი, გარდასწყდა, გარდავდება, გარდაქცევა.

წარ-: წარვიდა, წარავო, წარილონ, წარგზავნა, წარვლე, წარტა-
ცება.

შთა-: შთაცვივდნენ, შთაავდო, შთაბეროს.

იხ. აგრეთვე დამო- (დამოსცივდეს) და უკუ- (უკუიხედა, უკუ-
მოქცევა).

17. საკმაოდ ხშირად წყვეტილი უნიშნოა. მაგ.: მოვედ, ვიგრძენ,
განვიპყარ, ვიპყარ, მოვიქცე, ვიცან, აღვიხილენ, ვიყავ, ვსცან, დავდე.

18. რამდენიმე შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ვნებითის
წარმოებას ე- პრეფიქსით. მაგალითად:

არსებობა ჩემი დაე მყარა („ადამ.“); მოვიხილე რა სხეული ჩემი და და-
ვერ წმუნე მყოფობისა ჩემისა სისრულესა... („ადამ.“); მივეთხვე ნაქსა მალა-
სა და შეემე შინა... არღა შეემე შინა განქარებლისა („ადამ.“)

დაედასტურეთ ნარიანი ვნებითიც. მაგალითად:

ვითარითა სახითა განდიდნა ესრეთ სწრაფად („ადამ.“); ჰსდუმენით
(ისტ. II).

19. პრეფიქსიან ვნებითთა II სერიის ფორმებში თავს იჩენს
-ენ / -ნ სუფიქსი:

... მიემზგავსენით სულგრძელებითა თქვენითა მსხნელსა და ვნებულსა
თქვენთს, ... შეეწიენით ქვრივთა... („ავთრათნი“); კმაყოფილ ვიყვნეთ
ისტორიისა სიმართლითა (ისტ. II).

თხრობის სპეციფიკის გამო უფრო ხშირად გამოიყენება მესამე
პირის ფორმები. იხ. ნიმუშები:

მიეცნეს სიკვდილსა („ტიმოთე“); სჯულსა მიეცნეს ზედრნი მათნი (თ.
ბ.); იშენეს სულგრძელებანი („ტიმოთე“); რომელნიცა იყვნეს კაცთ-მოყვა-
რენი მსაჯულნი („ტიმოთე“); რომელსა ზედაცა ეკიდნეს ნაყოფნი... („ადამ.“);
მუხლნი მომედრიკნეს მოძრაობისაგან („ადამ.“); თვალნი ჩემნი იქმნეს
უსარკებლონი და დამეწუხნესცა („ადამ.“).

20. -ავ/ამ-თემისნიშნისანი ზმნები I სერიის ფორმებში ძირითა-
დად რედუცირებულია. სპორადულად ჩნდება შეუკუმშველი ფორმე-
ბი. მაგალითად:

ნახვენ, ფარვენ, იკითხვენ, ზრუნვენ, ბაძვენ.

შესმიდა, სტანჯვიდა, მართვიდა, იკითხვიდნენ, თხზვიდნენ, ნიშნვიდნენ, ეკითხვიდი.

ზღრ. პნიშნევდა, ბაძევდა; იხ. აგრეთვე: ვხედევდი.

21. კანტიკუნტად თავს იჩენს უწყვეტლის ხოლმეობითი. მაგალითად:

იგი ებრძოდის აგრეთვე სომეხთა, არაბთა და პართელოთა და ყოველთაგან ძლევამყარად შემოასილ იქმნებოდის (ისტ. II).

იხ. აგრეთვე: იტყოდის, შეუდგებოდის, მიუთხრობდიან, იქნებოდნიან, იდიდებოდნიან, აღირევოდნიან, დაუტევებდიან, შეჰკრებდიან.

22. ასევე იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის -ი-ე-ხ-დაბოლოებებიანი ფორმები:

მოსძულლებიეს, უსწავლიეს, გისწავლიესთ (სამივე ფორმა დადასტურდა „ტიმოთე“-ში), მისცემიეს (ისტ. I), გამოვიტანიეს (ისტ. II).

23. მეშველი ზმნა, როგორც წესი, არს ფორმით არის წარმოდგენილი. დადასტურდა ერთადერთი შემთხვევა ვარი ფორმის ხმარებისა:

[ღარიბმონია ვარი მე (ადამ)].

24. ს. რაზმაძე ხშირად იყენებს კითხვით -ა ნაწილსაც. მაგ.:

იხმარებისა აწვა წესი იგი (ისტ. I); ესხნესა სეფლს ძენი? (ისტ. I); არა გამოუტყვადა ღწ აბრამსა...? (ისტ. I); არა არსა უთანჯობა ქწეს შობისა წლისათჳს (ისტ. I); დაშინესა ახლად დაშენებულნი ესე კართადენელნი ამერიკასა შინა? (ისტ. II); არა აწარმოთა ამბოხება ხარკისა ამის დადებამან (ისტ. III); მართო თუთ ოდენ მფლობელობდა იგი? (ისტ. III); ვოტნი ნემეცნი არიანა ნათესავით ანუ სლავენნი? (ისტ. III).

სიტყვაწარმოებიდან ყურადღებას იპყრობს მდებარეობითი სქესის ფორმათა წარმოება ა სუფიქსით. ცნობილი მეფა და დმერთა ფორმების გვერდით იხ. მსახურა („ვესტალის მსახურა“, — ისტ. II). ს. რაზმაძის პოეზიის ენაში ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს შპანელა (Испанка).

ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა თ ა გ ა ნ საყურადღებოა:

1. ნარიანი მრავლობითის სახელობითში მდგომი პირდაპირი დაშატების მიერ შემასმენლის მრავლობით რიცხვში შეთანხმება, რასაც სოლომონ რაზმაძის თარგმანთა ენაში, შეიძლება ითქვას, სისტემატური ხასიათი აქვს. იხ. ნიმუშები:

აღვიხილენ თვალნი, დავიწუხენ თვალნი, დავაწესნეთ დრონი, დააწესნა სჯულნი, მისცნა პსალმნი, მოიყვანნა კაცნი, განამრავლნა მცხოვრებნი, წარავლინნა ნავნი, დაჰკარგნა ათნი ტომნი ისრაილთანი, წარმოადგინეს ივინი, წარავლინეს ხვამალდნი.

ცხადია, ეს თავისებურება ძველი ქართულისა ბოლომდე არ არის დაცული და გვაქვს შეუთანხმებელი ფორმებიც:

მოიწვია მან მოსამზღურნი ერნი (ისტ. II); განვაამეორე რა ცდა-ნი იგი („ადამ.“); რათამცა განსაჯოთს საქმენი; გრძნობანი (ისტ. II) და სხვ.

2. ს. რაზმაძის თარგმანთა ენისათვის დამახასიათებელია ძველი ქართული სამწერლობო ენის კიდევ ერთი თავისებურება: ვითარე-ბით ბრუნვაში მდგომი მასდარი ასრულებს მიზნის გარემოების ფუნ-ქციას. მაგალითად:

მიიწვიეს ქამად პურისა... („ტრიპოლ“); ეინადგან ყოველი სახლისა უფალი თანამდებ არს მზრუნქ მლობად სახლეულთა უკსთა ზნეობისათს და პა-სუხისა გებად მთისა ყოფაქცევისათს... (ტრიპოლ.“); დავით აღრჩეულ იქმნა ძნობად წინწილთა წინაშე მეფისა მის... (ისტ.); წარავლინა ნავნი უკუ მოქ-ცევად (ისტ.); მათ მოიღეს ნება აღშენებად ქალაქისა... (ისტ.); ინდიკტიო-ნი არს წესი თვლად წელიწადთა (ისტ).

ცხადია, ეს თავისებურება ძველი ქართულისა ს. რაზმაძეს ყველა შემთხვევაში არა აქვს განხორციელებული. ამავე ფუნქციით გვხვდე-ბა მომავალი დროის საობიექტო მიმღეობის ვითარებითი ბრუნვის ფორმა. მაგალითად:

განვადე პირი განსატევეებელად არმატისა მის („ადამ.“); მიეახლა მა-ყჭლოვანსა განსახილველად (ისტ.); ვითარი ველმწიფება მისცა ღწ მისეს აღმოსანიებელად წარგზავნისა მისისა (ისტ.).

პარალელური ფორმები შესაძლოა ერთ წინადადებაშიც აღმო-ჩნდეს. მაგალითად:

ადგილობისა საზოგადოობისა ებრაელთასა თანა აღს შემოტანად... დაუ-ყოვნებლივ მას ზედა დადებულისა ფულისა დასასჯელად მიბრ სჯულისა ჩუ-ცნისა („ტრიპოლ.“).

მიზნის გარემოების ფუნქციით გამოყენებულია მასდარიც -თხ-თანდებულისანი ნათესაობითის ფორმით. მაგალითად:

წარავლინეს ხვამლდნი თჳსნი დროსა მს შა ამერიკად მოძიებისათს მუნ საუწყეთა... (ისტ.); „განზრახვა თჳსი, რლოცა აქვნდა დიქცევისათს სოლომისა და გომორისა (ისტ.).

ძველ ქართულში ვითარებით ბრუნვაში მდგომი მასდარი გარ-კვეული ტიპის ზმნებთან დამატების ფუნქციას ასრულებდა. ამ ფუნ-ქციით აღჭურვილი მასდარი ძალზე ხშირად გვხვდება ს. რაზმაძის თარგმანთა ენაშიც:

ჯერ-არს მოცემად ჩემდა ადვილისა და საზრდოისა („ეთრაფნი“); არა საუუხოდ ძალმიძს ცხოვრებად („ადამ.“); განღვიძება ჩემი მეგონა

მეორედ შობად („ადამ.“); იწყებენ წელთა თუსთა თვლად; არა ჭერ-არს
ლტოლვად მას შა მყოფისა სიძნელისაგან (ისტ.); არა ჭერ-არს აღრევად
(ისტ.).

ცხადია, თითო-ოროლა შემთხვევის გარდა, ასეთი მასდარი აღარ
იგუებს პირმიმართ დამატებას:

ურისა მას თანა ამს შეტანად საზღისტესა შინა ათი ქესი თეთრისა
(„ტრიპოლ.“); ვითარითა საჩითა ძალ-უმს გონებასა ქონებად მცნებელ-
ბაჲ მას შა, რლცა უძალდეს ყრისა გრძნებითისა შემეცნებისა არს („შეკითხვა-
ნი“).

დროდადრო მასდარის ვითარებითი ბრუნვის ფორმას ენაცვლება
სახელობითი:

მსუროდა შეხება შვისა („ადამ.“); ძალმიძს დაკარგვა და კდ
შოპობა მათი („ადამ.“); უბრძანა... გაცოცლება ჩემი კარებადმდე და
კჳლავ არა შეშოშვება („ავთრათნი“); ...იწყონ აღრიცხვა წელთა
თუსთა მოსლეთიგან მესისა (ისტ.); ბრძანა აშენება ტაძრისა იანუსისათჳს
(ისტ.); უბრძანა დაფლვა მისი (ისტ.).

3. ყურადღება მიიქცია განკერძოებული მიმღებური კონსტრუქ-
ციის, ჩვენი აზრით, სპეციფიკურმა შემთხვევებმა, როცა მიმღებობა
ფუძის სახით არის წარმოდგენილი და ბრუნვაში არ ეთანხმება მის
მეორ საზღვრულ სიტყვას:

დამტევებელ ყრისა მის, ვუალერსებდი მტკიცესა ამას არსებისა ჩემისა
ნაწილსა („ადამ.“); მე მსწრაფლის მარშით მოვედ პერედნას; ტქვენსა. მსასოე-
ბელ მიღებად („ავთრათნი“).

4. მსაზღვრელ-საზღვრული ს. რაზმადის ენაში ძირითადად პოსტ-
პოზიციურია. ცხადია, მსაზღვრელი საზღვრულს ეთანხმება ბრუნ-
ვაშიცა და რიცხვშიც. თარგმანთა სტილებრივ სახეს შეაპირობებს
მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელთა სიმრავლე. მაგალითად:

მამათ ჭერ უჩნთ ტვირთვად სასჯელისა ცოდვისათჳს შვილთა თუსთა-
სა განუღვიძებლობისა მათისათჳს კეთილმოქმედებისა და პატიო-
სნებისადმი („ტრიპოლ.“); ...ბაგენი მთხრობელნი ცოდვისანი და ევლნი
შაწარმოებელნი ბოროტმოქმედებისანი და ფერკნი მოსწრაფლნი ბი-
წიერებისადმი... („ტრიპოლ.“); რაჲ შეგცოდეს შენ თხულებათა ციცე-
რონისათა, ვიარდილიისათა, რასინისათა, ფონტენელისა-
თა, არისტოტელისათა... („ტიმოთე“); სადაცა ისმის შეთანხმებულნი მუ-
სიკათ ხმანი, მამხიარულებელნი სასმენელთანი, გამყვანელ-
ნი სულისანი სასიამოვნოს განცხრომასა შა... („ტიმოთე“); ანაზღად მო-
შესმენს... ვალობანი მფრინველთა, წყანწყარო წყალთა და
ქროლანიაცისა... („ადამ.“).

5. ცხადია, ს. რაზმადე მსაზღვრელის პრეპოზიციისაც მიმართავს.
ამ შემთხვევაშიც, მიუხედავად ფუძის დაბოლოებისა, მსაზღვრელი

ბრუნვისნიშნისა და თითო-ორთა შეუთანხმებელი ფორმა (საამო სუნმან, საამო სიტკობებამან, სასიამოვნო სიღალულმან, სახელმწიფო შემოსავლისა, საზოგადო ისტორიისა, მცირე წერტილებად. სხვა სახედ...), რა თქმა უნდა, სურათს ვერ ცვლის.

ბრუნვისნიშნის მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში აგრეთვე არ არის შეპირობებული ფუძის დაბოლოებით. ამასთან, მსაზღვრელი საზღვრულს ნართანთან მრავლობითი ეთანხმება წყობის მიუხედავად. მაგ.:

რომელნიცა იყვნეს კაცთმოყვარნი მსაჯულნი („ტრიპოლ.“); რომელნიმე მაცთუნებულნი ანუ ბოროტისა განაზრახნი კაცნი ემუქრებიან მსაჯულთა... (ო. ბ.); დასუსტებულთა გრძნობათა ჩენთა წარმომადგენნეს უწი საგანნი („ადამ.“); დაჰკარგნა ათნი ტომნი ისრაილთანი... (ისტ.); ვინათგან მან რჩევანი ჰაბუკუთა კაცთანი უმჯობესადრე შერაცხა... (ისტ.); იგინი მასთებენ... შეწევნასა ყოველთა ჭეშმარიტთა პატრიოტთაგან... (ო. ბ.); რომელთაჲმე უდროთა კვევათამებრ ძალ-ედვით ვონებდა... (ო. ბ.); კეთილსენიანისათა კაცთათჳს და პატიოსანთა მოქალაქეთათჳს არა არს სხვაჲ მიზეზნი... (ო. ბ.).

6. ს. რაზმადის ენის სინტაქსური ქსოვილი რთულია. მწერალი უპირატესობას ანიჭებს რთულ კონსტრუქციებს. შთაბეჭდილებას აძლიერებს არქაულ კავშირთა გამოყენება. ეს კავშირებია: **რომელ (<რომ), ოდეს, ვითარცა, ვითარმედ, უკეთუ(მცა), ვინა|ვინათგან|ვინათგან|ვინადგან, გარნა.** მაგალითად:

რომელ: ანაზღედულსა სიბნელესა შა მეგონა, რომელ მიმეღო მე სრულებით მყოფობა ჩემი („ადამ.“); მე შევატყვევ, რომელ კაცსა მას სრულებით მოსტულეების სწავლა („ტიმოთე.“); თანამოქალაქენო ჩემო, გაცხადებ თქვენ დარწმუნებათა, რომელ მოქმედება მართლ-მსაჯულებისა არა ყოფილა არცა დაყენებულ და არცა განწყვეტილ (ო. ბ.).

ოდეს(ცა): მეოთხე საუკუნე იწყებისა, ოდეს გამოვიდენ ისრაილნი ეგვიპტით და დასრულდების სოლომონისა თანა (ისტ.); აწცა ნათლად მახსოვს წამი იგი მხიარულებისა და განცვიფრებისა, ოდესცა ჰდ ვიგობენ მყოფობა ჩემი („ადამ.“); მან განვიძრა თავი თჳსი, ოდესცა წარავო ბრძოლა პირისპირ ფილისტინელთა და ძეცა თჳსი ირნათან მოუკვდა მას შინა (ისტ.).

ვითარცა: ... ჯერ არს ჩემდა სჯად გარეგანთა საგანთათჳს ესთავე, ვა ესჯიდი მე სხულისა ჩემისა ნაწილთათჳს... („ადამ.“); ჰყისევე დამოსცივდეს შტოთაგან, ვა ლეღვი დამწიფებისა ეა („ადამ.“); დამნაშავე არს უფრო იგი სახელმწიფო შემოსავლისა დაკლებასა შინა და ამისთჳს ღირს არს იგი უმეტისისა სასჯელისა, ვა იტყვის ყურანი... („ტრიპოლ.“).

ვითარმედ: ... ვიტყვი მხოლოდ ამას, ვდ მრავალნი ჩემგან მოპოებულნი მეცნიერებანი აწმყოსა მდგომარეობასა ჩემსა შა, ეგოდენ საარგებელ არიან, რაოდენცა მშვიდობისათვის სუნი შემწერისა ბატკანისა („ავთრათნი“); იტყოდა იგი, ვდ სურვა შეუძლებელისა არს სნეულება სულიერი (ისტ.); რაღანი ნიშნადენ, ვდ დასქმენი მისნი განხილულ არიან (ისტ.).

უკეთუ(მცა): ... უკეთუ წიგნი ესე მიღებულ იქმნების თქვენ მიერ წინაღმდეგად, მაშინაც სულ ერთი არს ჩემთჳს („ავრთათნი“); უკეთუ მალაულადმართებულესობა თქვენი არ მომიგლენს მსწრაფლსა შეწევნასა, მყისევე სასოწარკვეთი-

ლება ამავებს მე შტიკსა ზედა („ავთრათინი“); უკეთ უმცა ღენრიხი მეფე არა იყომცა ჰსწავლულ, არა დასჯიდა ორთა ცოდვათა-თვისთა სიკვდილად („ტიმოთე“).

ვინა(ცა) || ვინათგან: რაოდენი შეძინა, იგი არა ვუწყვი, ვინაცა არა მეცნიერ ვიყავ ეამთა აღრიცხვისა („ადამ.“); ყოველივე ახალი ცდაი მომცემდა მე ახალსა განცუფრებასა; ვინათგან უნი საგანნი მეჩვენნეს მე თანასწორ ახლოს („ადამ.“); ... გნებავსთა, რათამცა განსწყვიტონ სლ ცხენი ქალაქსა შინა მხოლოდ იმისთვის, ვინათგან რომელიმე მათგანი წიხლსა იხვრიან და ცუდად ვლიან ეტლებსა შა? („ტიმოთე“); ვინა დგან კელი მომცემდა მე ჩუდვისაგან ყოვლილთერ განსხვავებულსა იდეასა, ამაღ შემეცნებანი ჩემნი იყვნეს უთანხმონი... („ადამ.“).

გარნა: კელი ჩემი არა დაშურებოდა მსახურებად ჩემისა, გარნა სასიამოვნო სიღალულმან დაიპყრა მცირედ-მცირედ გრძნობანი ჩემნი („ადამ.“); ძილი ჩემი იყო ფდ ტპილი, გარნა რაოდენი შეძინა, იგი არა ვუწყვი („ადამ.“); თუმცა შეჩვენების მე იგი განუზავლად სხვადასხვა სახედ ეღვარებისა მოქმედებისა და ფერებთა გამო, გარნა ყოველივე დაეტვის რომელსამე არსებობისა ჩემისა კერძოსა შა („ადამ.“).

ს. რაზმამქსთან ძალიან ხშირად ვხვდებით რა-ნაწილაკიან დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებს (განსაკუთრებით — თარგმანში „ადამის პლნი გრძნობანი“), რაც ალბათ სათარგმნი მასალის სპეციფიკით არის გამოწვეული. მაგალითად:

ესდგი რა აზმნობათა მათ ზედა, მივხედე შარაენდბრწყინვალესა მნათსა დღისასა და ვიგრძენ რა მცირე ტკივილი, უნებლიეთ დავიწყუნენ თვალნი... („ადამ.“); აღბორგებულ ვიყავ რა ესოდენ ცხოვლად გრძნობათა მიერ სატრფოთა და შრავალსახეთა მყოფობათა, აღვსდგე და უცნაურმან საიდუმლომან ძალმან წამიყვანა მე („ადამ.“); გარდავსდგი რა ერთი ოდენ ბივი, მყისვე მოქმედებისა ამის სიახლემან განმაჩერა მე... („ადამ.“).

3. ლექსიკური თავისებურებები

1. სოლომონ რაზმამქის თარგმანთა ლექსიკა არქაულია. არქაული კავშირებისა და ზმნისართების, აგრეთვე არსებით და რიცხვით სახელთა გვერდით განსაკუთრებით თვალში საცემია ძველი ქართული სამწერლობო ენისათვის დამახასიათებელ (როგორც მარტივ, ასევე რთულ) ზმნურ ფორმათა სიჭარბე, რაც, ცხადია, აძლიერებს ენის არქაულობის განცდას. ს. რაზმამქის თარგმანებში სისტემატურად ვხვდებით შემდეგ ზმნებს:

არს	მხიარულ-ჰყოფს	ესვას (ესხნეს)
თანამედებ-არს	უგულეებელს-ჰყოფს	ენება
ჯერ-არს	ცხად-ჰყოფს	ნებავს
შემძლვებელ-არს	გულისვმანს-ჰყოფს	ელტვის (ეველტის)
ძალ-უძს (ძალ-ედვას)	აქუს (აქვს)	წყისის
ჯერ-უჩნს	აქუნდა (აქვნდა)	მოსწყევდს
აგონებს	დაშუთბის	

2. ზოგი თარგმანი სპეციფიკურ, არაყოფიერ ლექსიკას შეიცავს. ეს არის ძირითადად მასდარები და აბსტრაქტული სახელები, რაც აგრეთვე შეაპირობებს ს. რაზმაძის ენის თავისებურებას. წარმოვადგინთ ზოგიერთს:

აზმნობა (აზმნება)	მყოფობა
ბიწიერება	მჭდომარეობა
გამოკუღევა	მპყრობელობა
განუღვიძებლობა	სისპეკალე
გარდამივლობა	სულგარძღვლება
გრძნებითი (გრძნობითი)	შედგომილება
თანაზიარობა	შემეცნება
კეთილმოქმედება	შემძლებლობა
	წინააღმდგომობა

3. ს. რაზმაძის თარგმანების ლექსიკა საკმაოდ დახვეწილია. მთარგმნელი მხოლოდ აუცილებლობის დროს ხმარობს უცხო სიტყვებს. მაგალითად, ისტორიული თხზულების თარგმნისას იგი ვერას გახდებოდა ინტერნაციონალიზმების გარეშე (რაც სპეციალური შესწავლის საგანი უნდა გახდეს). საკითხი ეხება ბარბარიზმებს. ს. რაზმაძის თარგმანები სწორედ იმით არის გამოირჩეული, რომ იგი აშკარად არიდებს თავს ქართულისათვის უცხო, კერძოდ, რუსულ სიტყვებსა და გამოთქმებს. ერთადერთი ბარბარიზმი („სტოლი“) გვხვდება „ტიმოთეს“ თარგმანში. მხოლოდ „ავთრათნია“ ამ მხრივ გამოირჩეული, სადაც მთარგმნელს უხმარია:

ატაკა	ლუნატიკი	სიმვოლი
დიაროკი	მარში	სიბირი
ფონი	პერენდა	სტოლიცა
კადეთი	პომეშიცი	ურა
კამანდა	პრიხოდი	შტიკი
კორპუსი	პროთიერეი	შტურმა

საგულისხმოა, რომ უცხოური წარმოშობის სიტყვები ჩართულია სიტყვაწარმოებაში („ყოველგან მიკამანდებენ ნაღვეაქრუგომ-სა“), რაც შემთხვევითი არ არის. სოლომონ რაზმაძე რუსიციზმებს საგანგებოდ, სტილისტიკური დანიშნულებით იყენებს. იგი მათი შეშვეობით ამდაგრებს კომიკურ სიტუაციას, რომელშიც „უფალი აფიცარი“ აღმოჩნდა. ამავე მიზნით ახდენს გრამატიკული წყობის არქაიზაციას, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ამგვარად, სოლომონ რაზმაძის თარგმანების ენა ძველი ქართული სამწერლობო ენის ნიჭიერ მიზაძვას წარმოადგენს. ორთოგრაფია, ფონეტიკური მოვლენები, გრამატიკული თავისებურებები, თხრობის მანერა და სინტაქსური ქსოვილი, აგრეთვე ლექსიკა ძველქართულია, რაც არ გამოირიცხავს პარელელური, სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმების გამოყენებას და ძველი ორთოგრაფიული ნორმების დაუცველობას. თარგმანთა ვიზუალური შთაბეჭდილებაც არქაულია, რაც მხედრულ ნაწერში ასომთავრულისა და დაქარავმების წესის ფართოდ გამოყენებით არის შეპირობებული.

II. ს. რაზმაძის პოეზიის ენა

მთარგმნელი სოლომონ რაზმაძე ენობრივი თვალსაზრისით არქაისტად არის მიჩნეული და ამ შეხედულებას, როგორც დავინახეთ, საეცებით ამართლებს მისი თარგმანები. მაგრამ არ იქნებოდა მართებული ამ თვალსაზრისის გავრცელება პოეტ სოლომონ რაზმაძეზე. თუ რელიგიურ-ფილოსოფიური და პოლიტიკურ-ისტორიული ხასიათის თხზულებათა თარგმნისას იგი ძველი ქართული სამწერლო ენის ნიადაგზე დგას და, შეიძლება ითქვას, ძველი ქართულით თარგმნის, ამას ვერ ვიტყვით მისი როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი ლექსების შესახებ.

ს. რაზმაძის პოეტური შემკვიდრება არ არის მოღწეული ავტოგრაფული ნუსხებით, რის გამოც შეუძლებელია მსჯელობა მისი ორთოგრაფიის შესახებ. ა, ბ, ვ, ჯ, მ, რა თქნა უნდა, მისი პოეზიის ენაშიც იჩენს თავს, მაგრამ ძალიან უსისტემოდ. რაც შეეხება. ქ-ს, იგი სისტემატურად გვხვდება უცხო წარმომავლობის სიტყვებში: ეჭირი, ზეჭირი, ნიმჭა, დიაჭა, ჭინელი, ჭილოსოჭ.

რაც შეეხება გრამატიკულ თავისებურებებს, სოლომონ რაზმაძის პოეზიის ენაში გვხვდება ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი არაერთი მოვლენა და ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, არც ერთი ლექსი არ არის გამონაკლისი. მაგალითად:

1. ბოლოსმოენიანი სახელი სახელობით ბრუნვაში ზოგჯერ ბრუნვისნიშნინია. მაგალითად:

ზღვაჲ („წინაწარმეტყველი“)³⁴, ხილვაჲ („დემონი“), სილამაზეჲ, სინარნარეჲ („უსამართლოა მართლა ბუნება“), საიდუმლოჲ, არარაჲ („პეტერბურხი“), მზეთა მზეჲ („დიანას მეჭლიში“), ურვაჲ, მდურვაჲ, დღეჲ, მთაჲ („დათვი და ცხვარი“).

აღსანიშნავია, რომ ყველა მოხმობილ ფორმაში ა-ს სინამდვილეში სრული ი შეესაბამება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ირღვევა მარ-

³⁴ მაგალითებს ვიმოწმებთ ხელნაწერთა ინსტიტუტის A:1284-ის მიხედვით.

ცვალთა რაოდენობა სალექსო ტაეპში. ჩვეულებრივ კი, სახელობით ბრუნვაში ფუძეხმოვნიანი სახელი უნიშნაა. საყურადღებოა, რომ ლექსში „უსამართლოა მართლა ბუნება“ შვიდ გაუფორმებელ სახელობითზე მოდის ერთი ბრუნვისნიშნიანი ფორმა.

2. მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად გვხვდება -**მან** დაბოლოება. მაგალითად:

შენ**მან** ტკბილ**მან** ჭიანჭურ**მან** („უფრომ გულემის“), ზევეს**მან** („სიტკობება“), მტარვალ**მან**, ბოროტ**მან**, მძლავრ**მან** („ველიზარი“), ნუგეშის მცემ**მან** („ერიდე სოფლის ამოებასა“), მეტყველ**მან**, მზე**მან** („დიანას მეჯლიში“).

მაგრამ, უფრო ხშირად მოთხრობითი -**მა/-მ**-დაბოლოებიანია. ასე, მაგალითად, „დიანას მეჯლიშიში“ შვიდ -**მა/-მ**-დაბოლოებიან ფორმაზე მოდის ერთი -**მან**-იანი მოთხრობითი.

3. ს. რაზმაძის ლექსებში ემფატიკური ხმოვანიც მრავლად შეიძლება დაიძებნოს. მას მართული მსახლვრელიც დაირთავს და მართულ-შეთანხმებულებიც, მაგრამ გვხვდება პაუზასთანაც სალექსო სტრიქონის ბოლოს, რაც არქაიზმად, ცხადია, არ ჩაითვლება. იხ. ნიმუშები:

მარად მტირალად არ დავაგდებდი
დედას საბრალოს, ჩემს სიცოცხლესა,
არც შვების დღესა დაუღამებდი,
არც გარდუქცევი მას ბნელად მზესა“ („მამულს“).
შენით აღმევსო ტკბილის ვრძნობითა
და ზეციერის მიჯნურობითა
მოკლული გული სვესიმრუდითა („შენით აღმევსო“).
შენი სინათლე აშვენებს მზესა,
მოწყალებითა გვეხარ ზევესსა („დათვი და ცხვარი“).

4. სახელთა მრავლობითობის წარმოებებისა ავტორი ხშირად მიმართავს -**ნ/-თ** სუფიქსებს. მაგალითად:

მოხუცი დაწენი მას დაუღარეს
მრავლისა დენით სისხლისა ცრემლთა („მამულს“).
მისთვის ლოცვითა ქერიენი, ობოლნი აფრქვევენ ცრემლსა
 („მირზა აბითურაბის პორტრეტზედ“).
მოქშუის ცემა წეროთა ფრთეთა,
დასაფლეთიად მიმფრინვალეთა („ელბრუსი“).
გარნა არწიენი მხნენი, ძლიერნი
მას გარდავლიან („ელბრუსი“).
კრებულსა ატყუებენ მამანი სულეერნი,
ბატონებსა — ნაზირნი და ნაზირთა — მსახურნი.
კელმწიფესა თავადნი, თავადთა — აზნაურნი
და მსაჯულნი არიან სრულიად ეშმაკის ჭურნი („პეტერბურხი“).

მაგრამ -ებიანი მრავლობითიც არ არის იშვიათი. მაგალითად, ლექსში „რისთვის მარტოებ“ მრავლობითი რიცხვის სამი ფორმიდან ორი -ებიანია (ჯიხვებსა, ქვევრებსა), ერთი — ნართანიანი (ბაგენი), ხოლო ლექსში „ალექსანდრე პირველის ძეგლზედ დასაწერად“ შვიდი ფორმიდან ოთხი ნართანიანია, სამი — -ებიანი.

დადასტურდა ორმაგი მრავლობითიც (ქალებთა, მძორებთა), რაც გარდამავალი პერიოდის ქართულისათვის არის დამახასიათებელი.

ნ. ს. რაზმაძის პოეზიის ენაში ცალკე მდგომ თანდებულებსაც ვხვდებით. მაგალითად:

შინა: ზმანებათა შინა („განღვიძება“); ძარღვებსა შინა („ღრუბელი სცვარავს“); მას შინა („ერიდე სოფლის ამოვბასა“); მას შიგანა („იღინე, წვიმავ“).

ზედა: მძორებთა ზედა („ასტრახანი“); ზედა ველთ და მდინარეთა („შვილო ჩემო“); მას ზედა („დიანას მეჭლიში“).

მაგრამ უფრო ხშირად შინა და ზედა თანდებულები შერწყმული და გამარტივებულია. მაგალითად:

სახმილში, ბომში, პაპანებაში, ცეცხლში.

დიდებაზედ, რიგზედ, ძეგლზედ, სახელზედა, შანთზედა.

თავს იჩენს ზოგი არქაული თანდებულებიც, მაგალითად, -ებრ:

სოკრატებრ, ზოროასტრებრ („მირზა აბითურაბის პორტრეტზედ“); მზეებრ („ღიშპანური სიმღერა“), შენებრ („დიანას მეჭლიში“).

მაგრამ გვხვდება ამ თანდებულის გამარტივებული. სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი -ებ ფორმაც: მთვარისებ, მარინისაებ, ნიავებ („დიანას მეჭლიში“).

სოლომონ რაზმაძეს გამოუყენებია და-თანდებულებიანი ფორმები კუთვნილებითი ნაცვალსახელებისა:

შენდა („ალექსანდრე პირველის ძეგლზედ დასაწერად“), თვსდა, თქვენდა („პეტერბურხი“).

საყურადღებოა, რომ -გან-თანდებულებიანი მოქმედებითი დასტურდება ფონეტიკურად უცვლელი და -გან დაკარგული სახითაც: დონითგან („ასტრახანი“), უფსკრულიდან („დემონი“).

ხოლო -მდე-თანდებულებიანი ვითარებითში შენარჩუნებულია ბრუნვის ნიშანი: კიდემდე („დიანას მეჭლიში“), სიკვდილმდე („სოფელს“).

6. ზმნის პირისა და რიცხვის აღნიშვნა, როგორც მოსალოდნელი იყო, ს. რაზმაძის პოეზიის ენაში არ განსხვავდება თარგმანთა ენაში წარმოჩენილი სურათისაგან. ამასთან, აქაც შენარჩუნებულია -ბ-თ დაბოლოება: გახსოვდესთ („ველიზარი“), უყვისთ. („ასტრახანი“), გაქულსთ („პეტერბურხი“), გაამოსთ („დიანას მეჭლიში“).

იგივე უნდა ითქვას მრავლობითი რიცხვის -**ეს**, -**ენ**, -**ენე** და ბოლოებთან შესახებ. გვხვდება სამივე დაბოლოება, მაგრამ ზოგ ლექსში -**ეს** დაბოლოებას ენიჭება უპირატესობა. მაგალითად, „ღიანას მეკლიშში“ ათსავე შესაძლო შემთხვევაში -**ეს** სუფიქსია:

გამომართ**ნეს**, შეყრილიყვ**ნეს**, მიესალმ**ნეს**, მოგვესმ**ნეს**, მივიდ**ეს**, დასხდ**ეს**, წარმოსდ**ეს**, სცურეგდ**ეს**, მსახურებდ**ეს**, გამხიარულდ**ეს**.

იგავ-არავში „დათვი და ცხვარი“ ხუთი შესაძლო შემთხვევიდან ორი -**ნენ**-სუფიქსიანია (ასვენებდ**ნენ**, განათლდ**ნენ**), ოთხი — -**ეს**-სუფიქსიანი (მოისრ**ნეს**, ტიროდ**ეს**, აგრეთვე — მოვიდ**ნეს**, მოესალამ**ნეს**, სადაც -**ეს** სართიმო ერთეულია და მომდევნო ტაეპის **მოახსენეს** ფორმით არის შეპირობებული. ანალოგიური ვითარებაა „ღიანას მეკლიშში“. შდრ.: „ღიანას სახე მათ რა იხილ**ეს**, მოვიდ**ეს**, ნაზად მოესალამ**ნეს**“).

7. დინამიკური ვნებითები აწმყოს მესამე პირში ს. რაზმადის პოეზიის ენაშიც -**ი-ს** დაბოლოებანი:

მიჰყვებ**ის**, შესცთებ**ის**, აღემატებ**ის**, მედებ**ის**, მიეფინებ**ის**, გაეზბ**ის**, მიწრტებ**ის**, მიაძ**ის**.

მაგრამ გვხვდება -**ა**-დაბოლოებიანი ფორმებიც:

მოედ**ა**, განუზავ**ა**, ელმ**ა**, იდებ**ა**, ირინდებ**ა**.

8. ხოლმეობითიც შეიძლება დადასტურდეს:

მოვიდ**ის** („დემონი“), უვიდ**ის** („ველიზარი“), აღნთი („ალექსანდრე I ძეგლზედ დასაწერად“).

9. უნიშნო წყვეტილიც დაიძებნება:

ვიგრძენ, ვიყავ, აღსდევ („წინასწარმეტყველი“), ვიცან („ილინე, წვიმავ“), გვითხარ, მიველ, წაველ, გამოვიქეც, შეჯედ („მოსიკასაგან თქმული“).

10. წყვეტილსა და II კავშირებითში პრეფიქსიან ვნებითთა -**ენ/-ნ**-სუფიქსიან ფორმებსაც ვხვდებით:

შემოერთყენ**ით**, ეგდენ**ით**, ვეყარნ**ეთ** („დათვი და ცხვარი“).

11. არქაული ზმნისწინებიც არ არის იშვიათი:

გან-: განაბრძნობს

განაგდევ

განმინელო

განათბობს

განმოტა

განვსოცხლდი

განმოახლო

განსძლენ

აღ-: აღმევესო

აღსდევ

აღივსე

აღმიმადლე

აღემატების

აღმოხდა

აღმომგლოჯა

აღესახმილე

წარ-: წარმოსდგეს	გარდ(ა)-: გარდუქცევდი	გარდმოვასახლეთ
წარვედით	გარდაევილო	გარდმობტა
	გარდმევიდა	

12. ნარიანი მრავლობითის სახელობით ბრუნვაში მდგარმა პირ-დაპირმა დამატებამ ს. რაზმაძის პოეზიის ენაშიც შეიძლება შეითანხმოს შემასმენელი:

მრავალნი დაბოცნა („ასტრახანი“), განახარე შენნი მხეველნი, ჰყენა უსულნი („დიანას მეჯლიში“).

13. ხშირად ვხვდებით მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციურ წყობას. მაგალითად:

მანტილი ბნელი, ელბრუსი აელვებული, სიო ცხოველი, დღეი მზიანი, ღრუბელი ნათელიანი, ეტლი მცხინვარე, სვემან ნრუდემან, ცვარო სპეკალო, მკლავო ძლიერო, შამანი სულიერნი, კავშირნი მათნი, მთიებნი ნაზნი.

14. ს. რაზმაძე მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელსაც ხშირად იყენებს:

სიბრძნე მირზასი, ჰმა იადონისა, ელვა მთვარისა, ბინდი ურვისა, სხივი მთვარისა, სვეტი ტინისა, შუქმან ნათლისამ, ღამისა სიამოვნებაე...

15. ნაწევარსაც იზოვის კაცი:

ალი იგი („ღრუბელი სცვარავს“), მნათობი ეხე („დიანას მეჯლიში“), სოფლისა ამის („ველიზარი“), ჭაბუკი ბრძასა უვიდის მახა („ველიზარი“), საამონი იგი სიზმარნი („განდვიძეა“).

შდრ. პრეპოზიციური ნაწევრის მაგალითები:

ეხე სოფელი („პეტერბურხი“), იგი მნათობნი („დიანას მეჯლიში“).

იხ. აგრეთვე მაგალითები, სადაც ნაწევარს ცვლის ჩვენებითი ნაცვალსახელი:

ამა სოფლის ბედნიერება („შენით აღმევსო“), ამ სოფელს („პეტერბურხი“), მაგ ხმასა საამოს („კობლე და ხლოე“).

16. ს. რაზმაძის ლექსებში საკმაოდ ხშირად გვხვდება:

ა) ადგილის მიცემითი:

თქვენნი ქებანი ზეცას მოგვესმნეს („დიანას მეჯლიში“), უღბნოს ბნელსა ველიდი მაშგრალი („წინასწარმეტყველი“), ფართალი ზურგს მეკიდა, მაგრა თოკით შეკრული; მიველ პეტერბურხს; აწ სოვდაგრობა ვიწყე, იმერეთს გარდაევი („მოსიკასგან თქმული...“).

ბ) უთანდებულო მოქმედებითი გამოსვლითის ფუნქციით, რის გამოც ნაკლებია -გან-თანდებულისანი მოქმედებითი:

ზოგია ლტოლვილ საცანით, ზოგი ქელით და ქოხით („ასტრახანი“), ზეცითამც მოგველინება („შეილო ჩემო“), სოფლით გასული („განდვიძება“), ზეცით მოსული („განმარტება“), ზეცითამც მოგველინება („უერომ გულემის“), დაემო ნელა მალლის ოლიმპით („დიანას მეჯლიში“), მტერნი განსდევნა სამ-ზღვარით („შენა გფერობს“).

გ) უთანდებულო ვითარებითი მიმართულებითის ფუნქციით:

შერმე თუ ნებაეს, წავალ სამარედ („ლიშპანური სიმღერა“), ველად ვიყავ მდებარე; ველად ორძილთა აღმოცენება („წინასწარმეტყველი“).

17. ს. რაზმადის პოეზიის ენაში კავშირთა არქაულ სახეობებსაც ვხვდებით:

რომელ: შენებრ ნარნარი არავინ არი, რომელ ანიაფოს სიცოცხლის სიო („დიანას მეჯლიში“).

ვინა (> ვინაჲთგან): ვინა ვალია თავის დადება მამულისათვის ყოვლის კაცისგან, მის გამო მეცა, კანდიერ ქმნილნან, ვსთარგმნე ეს წიგნი რუსთა ენისგან.

... მკითხველო, ნუ შეგაწუხებს,
ვინა ვირიცა მძიმედ ტვირთული
სრულიად კავკაზს გარდააბიჯებს („განმარტება“).

გარნა: და უძალონი გარდაფრენისა ქვე ეცემიან,
გარნა არწივნი მხნენი, ძლიერნი მას გარდავლიან.

(„ელბრუსი“).

ოდეს: ოდეს ვნახე მე სოფლის სიამე...

ოდეს ანაზღად სვემან მრუდემან
მოგზუროს რისხვით ურვის ღრუბელი,
მამინ ზენაით ნუგეშის მცემმან
შეის მოგივლინოს მცველად ანგელო
(„ერიდე სოფლის ამოებასა“).

როს: როს სიყვარულის ეწვიმოს ალი,
გულსა დაადნობს, თუც იყოს სალი („შენით აღმეგსო“).

როს განცხრომისა და შვების ჟამსა
ბინდი ურვისა მიღევდა გულსა... („დემონი“).

საკმაოდ გავრცელებულია რა-ნაწილაკიანი დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებებიც:

რა ალი ივი სულს მოედება,
ვერდა გააქრობს მას ნიაღვარი („ღრუბელი სცეარავს“)

მოაეღვარებს ბუნებას მზე რა,
მამინ მიამის მე შენი მზერა („გარდის“).

18. ს. რაზმაძის ლექსებში არქაულ ლექსიკასაც ვხვდებით:

სახელები: **სახმილი, სამზღვარი, სპეკალი, სვე, ურვა, შარავანდი...**

ზმნები: **არს, ხამს, ვალს, ჰხადის (ჰხაღდა), ჰსურის, ძნობს (ძნობა), ევლტის, მაქვდღეს, მრქვეს (მრქვა), განარინე, აცორვეს.**

ზმნისართები: **ნიადაგ, მარად, აწ, მყის, მხწრაფლ, იგვრდივ, მუნ, დასავლეთიად, მალიად.**

19. დასტურდება ხელოვნური ფორმები მაგ., პოეტი ზოგ ზმნას უზმნისწინოდ ხმარობს: **სწყდეს, წბილდეს, ჰფრინდეს** („კობლე და ხლოე“). გვხვდება უზმნისწინო მიმღებობებიც: **ლეული, ლესული, ტვირთული, მწვარი.**

ხელოვნურად გამოიყურება შემოკლებული ფორმები: **უღმო, მრისხი, ზმანი (ზმანება), აგრეთვე ზმნები: არებ, უზნარობს, მინდი.** ხელოვნურია ფორმა **წინასწარმეთქვი** (შდრ. სათაურში გამოყენებული **წინასწარმეტყველი**).

20. ს. რაზმაძის ლექსებში რუსიციზმებსაც ვხვდებით: **კუბეცი** („პეტერბურხი“), **სიუხა ლენტი სადი, კუნა, ტალკუჩის ბაზარი** („მოსიკისაგან თქმული“...), **კელია** („სტრახანი“).

რუსულიდან მომდინარე ფორმებია **ანგელი** („ერიდე სოფლის ამოებასა“), თუმცა პოეტი **ანგელოს** ფორმასაც ხმარობს, და **ელბრუსი** (|| იალბუზი).

როგორც დავინახეთ, სოლომონ რაზმაძის პოეზიის ენისათვის უცხო არ არის არქაიზმები, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ძველი ქართულის ზოგი თავისებურება, დღეს რომ არქაიზმად აღიქმება, ს. რაზმაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხანაში არც იყო არქაიზმი და ალბათ ბუნებრივი იყო მისი წრის მეტყველებისათვის. ასე, მაგალითად: **-ი-ს** დაბოლოება ვნებიებში, **-ენ/-ნ** სუფიქსები პრეფიქსიან ვნებითა II სერიის ფორმებში, უნიშნო წყვეტილი, რაც აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში ახლაც გვხვდება; იგივე უნდა ითქვას ემფატიკური ხმოვნის შესახებ, რომელიც უნიშნო შემთხვევაში სასაუბრო ინტონაციის გაძლიერებას უწყობს ხელს; ასეთსავე განწყობილებას იწვევს დიალექტური **-შია** თანდებული: **კუთხეშია, სოფელშია** („დათვი და ცხვარი“), **სახლშია, ჯოჯოხეთშია** („პეტერბურხი“), **სიბნელეშია** („იღინე, წვიმავ“), **აღმოსავლეთშია** („შენა გფერობს“).

სასაუბრო მეტყველებისთვის არის დამახასიათებელი ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ბოლოკიდური **დონის** დაყრუება: **დიდათ, ჩუმათ, მხიარულთა, ზველთა, ერთიანთა** („დათვი და ცხვარი“, „კობლე და ხლოე“); დიალექტურია **შენაცვლება მ/ნ** თანხმოვნებისა სიტყვაში ამბავი: **„რა ანბავია, რას გვემართლებით“** („დათვი და ცხვარი“); დიალექტურია **შეტათეზისის** ეს შემთხვევაც — **გლმის** („შენა გფერობს“);

ს ბგერის ასიმილაციური გამქლერება: მზგავსი („შვილო ჩემო“); ყურადღებას იპყრობს აღ- ზმნისწინის ღ თანამოვნის გადარიცხვა ფუძეში: ეღგზნებოდეს („სიყვარული ესრეთი ხამს“); დიალექტურად ქლერს ნარიანი I თურმეობითი: უმღერნია („კობლე და ხლოე“); დიალექტურია -ავ თემის ნიშნის -ამ-ით შენაცვლება: ვნახამ, მოეხილამ („მოსიკასაგან თქმული...“); აგრეთვე საკუთარი სახელებისათვის წოდებითი ბრუნვის ნიშნის დართვა:

ხლოევ, კობლევ („კობლე და ხლოე“), ეკატერინავ („დიანას მეჯლიში“), პეტრუშკავ („პეტერბურხი“). შდრ. მიმართვის უბრუნვის-ნიშნო ფორმები: თევდორე, ვანკა („პეტერბურხი“).

ყურადღებას იპყრობს არს ზმნის არი ფორმით ხმარების შემთხვევები:

კითარ საოცარი არი („ეგრემ გულემის“), გაზაფხულის მზე მასთან რა არი? ნეტამც ვინ არი მისის დარი („იღინე, წვიმაე“). შდრ. არი — დარი.

ცნობილია, რომ ენობრივ საშუალებათა შერჩევა არ არის შემთხვევითი ხასიათისა. თხზულების უნარი და თემა, ხშირად ქვეცნობიერად, კონკრეტულ მოთხოვნებს აყენებს შემოქმედის, კერძოდ, პოეტის წინაშე, რომელიც თავისი სულიერი წყობის, აღზრდისა და განათლების კვალად ენაში არსებულ ალტერნატიულ შესაძლებლობათაგან მისთვის მისაღებს ანიჭებს უპირატესობას, ირჩევს რა თვითგამოხატვის ამა თუ იმ გზას.

ეს გარემოება იგრძნობა სოლომონ რაზმაძის პოეზიის შემთხვევაშიც. მწერალი აღიზარდა ძველი ქართული ლიტერატურის ტრადიციებზე, რომლისთვისაც უცხო არ არის სტილებრივი დიფერენციაცია, ხოლო სამი სტილის თეორია მის დროს რეალურად მოქმედ აუცილებლობას წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ ს. რაზმაძის პოეტური მემკვიდრეობა ენობრივი და სტილური თვალსაზრისით ერთგვაროვანი არ არის. ერთსახე არ არის მისი ოდების, ლირიკული და იუმორისტული ლექსების, აგრეთვე იგავ-არაიკის ენა და სტილი, თუმცა მათ საერთოდ ბევრი აქვთ და ეს, უწინარეს ყოვლისა, არქაულ მოვლენებს შეეხება. მათ შორის არსებული განსხვავება უპირატესად სტილისტიკური ხასიათისაა, კერძოდ, ლექსების ერთ წყებაში აშკარად იგრძნობა ბათეტიკური ტონი, ხოლო მეორეში — სასაუბრო ინტონაცია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მკვეთრი სადემარკაციო ხაზის გავლება მათ შორის ყოველთვის არ ხერხდება, რასაც „დიანას მეჯლიში“ მოწმობს. ბათეტიკური ხასიათის ლექსებია: „მალლისა ძეო“ (მიძღვნილი იონა ხელაშვილისადმი), „ალექსანდრე I ძეგლზედ დასაწერად“, „მირზა აბითურაბის პორტრეტზედ“, „ეგრემ გულემის“, „ელბრუსი“, „განმარტება“, „ვინა ვალია“, „სოფელს“, „ველიზარი“,

„ანბანთქება“. აქვე შეიძლება შემოვიტანოთ ალ. პუშკინის ლექსების რაზმაძისეული თარგმანები: „წინასწარმეტყველი“, „განღვიძება“ და „დემონი“, რომელთა სტილი მიზნითა და მაღალფარდოვანი. ამ წყების ლექსებში ხშირია მიმართვები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ერთ-მანეთზეა დახვავებული, მიმღეობები, ნართანიანი მრავლობითი და ინვერსიული (როგორც ატრიბუტული, ისე გენითური) მსაზღვრელ-საზღვრული. მაგალითად:

„ველიზარი“

... მაღალი, დიდი, გულმდაბალი, მშვიდი, ჰრომ-ვიზანტისა ამმაღლებელი,
მტერთა მომსვრელი, მფრენელ-მწყვედელი, ცხვით მაგართა დამარღვეველი,
ჭილოსოჭ ბრძენი, არ თუ ბრძენი, ვალიზარიონ მტრის ტუნ-მჩქებელი (sic!).
ყოფილ მაღალი, ყოვლგან მაგალი, არ ოდეს მყოფი განძინებულად.
არ შურმქებნელი, არც მანებელი, არამედ ყოვლთან დამდაბლებულად.
ჩაღად უჩნდა მას, ყოვლთ უთხრობ ამას, მისვე ჩაღისა შეწონებულად.

„მირზა აბითურაბის პორტრეტზედ“

სიბრძნე მირზასი მიეფინების სრულად სოფელსა,
იგი სოკრატებრ და ზოროასტრებრ განაბრძნობს სულსა.
მოსი ზაასი და დარიგება ცხოვარ-ჰყოფს მგელსა.
მისთვის ლოცვითა ქერიენი, ობოლნი აფრქვევენ ცრემლსა.

„განღვიძება“

ჰოი, ზმანო, ზმანო! სადა არს თქვენნი სიტკობენი?
ჰოი, ლამისა სიამოვნებაჲ, სად მიმოფრინავ?
ვაჰ, საამთნი იგი სიზმარნი, წარბდეს ვით ქარნი
და მე, ყარობსა, უფსკრულს სიბნელეს თვალნი აღმეგვნეს...

სასაუბრო ინტონაცია აბასიათებს ს. რაზმაძის ისეთ ლირიკულ ლექსებს, როგორიცაა: „მამულს“, „შენით აღმევსო“, „რისთვის მარტოებ“, „ვარდი“, „ვინც შემოგზედავს“, „შვილო ჩემო“, „შენა გვერობს“. აგრეთვე პუშკინიდან ნათარგმნ „ღიშპანურ სიმღერას“, რომლებიც დინამიკურობითა და სიმსუბუქით გამოირჩევა. მაგალითად:

„მამულს“

ნეტამც, მამულო, არ მომდებოდა
შენის ხილვისა, სურვილის ალი,
ურვის სახილში არ დადნებოდა
ეს ჩემი გული, მომაკლდა ძალი.
ეჰა, მამულო, ეჰა, მამულო!
ვაჰკერი, რად მინდი უმისოდ, სულო!

„რისთვის მარტოებ“

... კმარა! ნუ ადრენ გონებას შორად.
ვახოთ ბაგენი ჯიხვებსა ზშირად.

აპა, ჩონგური, დაუყარ რამე,
მით მოგეცემა გულის სიამე.
კახური მიჰფენს სიხარულს პირსა,
მიგსჭედოთ სეველა ქვეერების ძირსა!

„შენა ვფერობს“

შენა ვფერობს სპარსთა ქება მაღალით,
მე ვაჲ გაუბედავ შესხმის თქმას კაცი სოფლელით,
შენ გაგვიზარდვ ირაკლი, მტერთა მკლეტელით,
მზეებრ ქართლსა მოუფინა მისი მშობელით.

„ლიშანური სამღერა“

ღამის ნიაგით
ღელავს ეჭირი,
მინდის გრილით
ღვადალკვივირი,
მოიხსენ, სულო, მანტილი ბნელი
და გაომიჩინდი მზეებრ ელვარედ.
ერთხელ მაჩვენე ამურთა ველი,
მერმე, თუ გნებავს, წავალ სამარედ...

ალბათ ლექსების ამ წყებაში შემოვიდოდა „კობლე და ხლოე“, მაგრამ ეს ლექსი არ უნდა იყოს საბოლოოდ დამუშავებული. ამიტომ მისი სტილი (და ენაც) რამდენადმე ბუნდოვანია.

კიდევ უფრო ძლიერია სასაუბრო ინტონაცია ს. რაზმაძის პოლიტიკურ იგავ-არაკში „დათვი და ცხვარი“, რაც სამი სტილის თეორიის უგულვებელყოფას კი არ წარმოადგენს, არამედ პირიქით — მის მოთხოვნებს შეესაბამება.

მდაბიური ქართულის ნიმუშებია ფონეზინიდან გადმოღებული „პეტერბურხი“ და იუმორისტული ლექსი თუ პოემა „მოსიკასაგან თქმული წიირი მისსავე თავზედ“, რომლებიც, განსაკუთრებით მოსიკას თავგადასავალი, დიდად განსხვავდება ს. რაზმაძის ამაღლებული და დახვეწილი ქართულისაგან ქალაქური ყოფისათვის დამახასიათებელი გამოთქმებით („ზეზარს მოვედი“...), დიალექტიზმებით („ბოვშე-ზის ბლარძენი“...) და რუსიციზმებით (იხ. გვ. 193, 208).

„მოსიკასაგან თქმული...“

... მეგრულესვე მივმართე, რომ აღარ მქონდა ჩარა.
მათ კუხნაჩი შემტენეს, რომ მეტი არა ვთქვა რა...

სულმიხდილი ჩამავდეს საგებს, ვით დათვის ბელი,
წამლები მომიშადეს, არ ყველა მარგებელი.
მიამფიწვეს და მიამავდეს, მიიჩინეს მხლებელი....

ჩემის ძმის მოვალეთაც ამიტევს დავები,
ღამის შემომავლიჯონ საგლოელი შავები.

მარტიას ძე მეჭადის, გაგიკრათ მკლავებზე,
ვირის აბანოს ჩაგსვია, დაგჩხოლდეს ყვაეებში...

„პეტერბურხი“

პეტერბურხი, მოსკოვი საკმაოდ მაქვს ცნობილი,
ყოფელს ქუჩას და სახლშია მყვანდეს თითო დობილი,
რაც შინახავს, ვიამბობ, თუც დიად ვარ თრთბილი.
შინახავს მე ჯაბანი, ღუნერალად ხმობილი,
და ერთგული მამაცი, სასახლეში გმობილი.
ეს სოფელი ტრიალებს, ვით კუპცის ხელში გროშა,
აქ მდიდარი იგია, ვინც არის კარგი ბოშა.
აქ იხარე, ჭელთ იპყარ ღვინით საესე კოვოშა,
მერე ჯოჯონეთშია დაატრიალე დროშა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ს. რაზმაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა ენობრივი თვალსაზრისით ანტონ კათალიკოსის მოძღვრების ხორცშესხმაა. ე. წ. მაღალი სტილი განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა მის თარგმანებში, რომლებიც ვიზუალურადაც კი ძველ ქართულს მოგვაგონებენ და ორთოგრაფიული, გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებებით მის საკმაოდ ნიჭიერ მიბადვას წარმოადგენენ. რამდენადმე თავისუფლად ეპყრობა ენას ს. რაზმაძე პოუზიაში, სადაც აშკარად იგრძნობა სტილებრივი დიფერენციაცია. აქ პათეტიკას ენაცვლება სასაუბრო ინტონაცია, მაღალფარდოვნებას — სიმარტივე, სიმძიმეს — სიმსუბუქე.